


არ ჩაუჭიკოებს

ფასი 25 კპ.



№ 16

წელიწადი მთელი.

# ს ს ო პ რ ე მ ბ ა

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. † თევდორე დავითისძე ყორღანია.
2. † გიორგი ბირსელი.
3. თავ. ალექსანდრე გარსევანისძე ქაგ-ბაგაძე.
4. † გენრიხ სენკევიჩი.
5. † ემილ ვერბარნი.
6. † ჯონ ლონდონი.
7. პირველი და უკანასკნელიც, მიჯნურისა.
8. ესკიზი, დასასრული.
9. ზენობნიელისა.
10. \*\*, ლექსი, ჯანდაბასი.
11. „გზა“, პიესა, სანდრო გურთულისა.
12. სალამი, ა. ხაბულიანისა.
13. ზემი დლიურიდან, „ვალიკოსი“.
14. კრიტიკა, ზომლელისა.
15. სავარუო პოლიტიკის დემოკრატიზაცია გერმანიაში, მ. ლურიესი.
16. დამოუკიდებელი პოლონეთი, გულკეთილისა.
17. სახელმწიფო დუმა.
18. გერმანიის კანსლერის სიტყვა.
19. რარბახის წერალი.
20. ლიტვის დიდი სამთავრო და კურლიანდიის საგერტოვა.
21. 20 ბ-5 ლ. ბახტაძის „ჩემი პასუხის“ პასუხი, დეკ. ი. წერეთლისა.
22. წუთიერი ნეტარება, ახ. მ.—ლისა.
23. მუშათა ჟურნალის ფონდი.
24. ახალი წიგნი.

1 ნოემბერი 1916 წ.

ა შ თ ა ი ს ი

სტამბა „მობა“, პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოციელისა.

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## + თევდორე დავითის ძე ჟორდანიანი.

22 ოქტომბერს, სოფ. კასპში, როცა ბაღში სეირნობდა, უეცრათ წაიქცა და მოულოდნელათ გარდაიცვალა ჩვენში კარგათ ცნობილი არქეოლოგოსი და ისტორიკოსი თევდორე (თედო) დავითის ძე ჟორდანიანი.

თედო ჟორდანიანი იყო მარტვილელი აზნაური. იგი დაიბადა 1854 წ. 20 აპრილს, სოფ. მარტვილში. ყმაწვილი დედით ძალიან ადრე დაობლდა და ჩამოდავითი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ბერათ აღიკვეცა და აფხაზეთში გამწესდა მისიონერათ.

პატარა თედოც პირველათ ძიძის ხელში იყო და, შემდეგ-კი, დედობაც და მამობაც მამიდამისმა გაუწია და მამიდას სახლში იზღებოდა დედით ობოლი ბავში.

როცა სასწავლებელში მიბარების დროც დადგა, მამამისმა იგი ჯორჯე უკან შამოისვა, ქუთაისში მოიყვანა და იქ სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ეს სასწავლებელი მან ჩინებულათაც დაასრულა და თფილისის სას. სემინარიაში შევიდა. თფილისის სემინარიაში იგი, როგორც ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფე, ყურათღებასაც იქცევდა და, როცა სემინარიის კურსი შეენიერათ დაასრულა, ახალგაზდა სტუდენტი მთავრობის ხარჯით მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაგზავნეს. 1879 წ. სასულიერო აკადემიაც თედომ ჩინებულათ დაასრულა და იმავე წლის ენკენისთვეში მასწავლებლათ გამწესეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში.

ამ დროს, ამ სასწავლებელში ზედამხედვლის ადგილი დაიკალა და ქართლ-კახეთის საღვდლოებამ ერთხმათ თედო აირჩია ზედამხედველათ და თვისი იქ მოსწავლე შვილების ბედ-იღბალი მას ჩააბარა.

1883 წ. ექსარხოსის იოანიკის და მიროპოლსკის მეოხებით, სასულიერო სასწავლებელში და თფ. სას. სემინარიაში ქართული ენა სავალდებულო საგნათ იქნა აღიარებული, და თედოს ვხედავთ ჩვენ სემინარიის მასწავლებლათ, ქართული ენისა დაბალ კლასებში და საეკლესიო ისტორიისა— მაღალ საღვთისმეტყველო კლასებში.

ამ დროს, მე იგი დაახლოვებითაც გავიცანი, რათგან ჩემი მასწავლებელიც იყო და მე მისი დიდი მადლობელიც ვარ. თედოს ჩემზე დიდი ამაგი აქვს გაწეული...

1883 წლიდან 1896 წლამდე იყო თედო სემინარიაში მასწავლებლათ და ეს საშინელი რეაქციის დრო სემინარიაში, როცა ექსარხოსის პავლესა და რექტორის ჩუდუცკის შიშით ძრწოდა ეს უბედური სასწავლებელი, თედომ გაატარა, მართლაც, დიდი სიბძნითა და მოთმინებით...

შემდეგ, საქართველოში შამოილეს საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა და თედოც, თითქოს უნიჭო და ცუდლუტი „ნიკოლაი გავრილოვიჩ ტატიევიანო“, 1896 წ. გურია-სამეგრელოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურის ადგილზე დანიშნეს.

აქ-კი ეს წმინდა კაბინეთის კაცი პირდაპირ ხელში ჩაუვარდა ისეთ დიდათ დიდ გაქნისს, თელ რუსეთშიაც გათქმულს „ბოროტს სულს“, როგორც „ცნობილი“ ვასტორგოვი ბძანდებდა და რომელიც საქვეყნოთ ტრაბახობდა:

აი, ამ „ბოროტმა სულმა“ ჩაიგდო ხელში, მოგახსენებთ, ეს ბუნჩულა, წმინდა კაბინეთის კაცი და თვისი ბოროტი სისტემის იარაღათ გამოიყენა, რამაც შეაშფოთა გურია-სამეგრელოს მაშინდელი უხუცესი ღვდელ-მთავარი, ალექსანდრე, ნიკო ნიკოლაძე და ჩემი ძმა, იაკობიც...

ვერ დაეფარავ. თედო ვერ იყო აღმინის.

ტრატორი და იმას არც ქონდა ამის ნიჭი და ენერჯია. იმისი საქმე იყო კაბინეთი და კალამი. თედო წმინდა კალმის კაცი იყო. ქართული და რუსული წერა კარგათ ემარჯვებოდა. და ჩვენი საზოგადოება დამნაშავეა, როცა ნიჭიერ ქართველ კაცს ლუკმა პურისთვის სადღაც უპატრონოთ ისვრის და შესაფერ სამუშაოს არაუჩენს მას.

თედოსაც სწორეთ ასე მოექცა ჩვენი საზოგადოება. ეს კაცი ხელში ჩაუგდეს საქართველოს უდიდეს, დაუძინებელ მტერს, რომლის ოხშიაც რუსეთი ვერ მოსულა და რომელმაც თედო, როგორც მოხელე, მართებლობის ყურმოკრილი მოსამსახურე გახადა...

1904 წ. თედო იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მეთვალყურეთ გაამწესეს. მარა 1911 წ-ში აიძულეს სამსახურს გაცლოდა იგი...

ამიერიდან თედომ მონახა თვისი საყვარელი საგანი და გულიც დაუდვა მწერლობას. იგი თავისუფალ დროს საისტორიო შრომას ახმარებდა, სადაც სახელიც მოიხვეჭა...

თედომ სალიტერატურო შრომა აღრე დაიწყო. 1879 წ., თუ 1880 წ., კარგათ არც მახსოვს, მან ჟურ. „ივერიაში“ მოათავსა ფრიად საყურათლებო ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია „დავით გურამიშვილი და მისი დრო,“ რომელმაც მას ერთბაშათ სერიოზული მწერლის სახელი გაუთქვა ჩვენში. ამ სტატიას მოყვა 1882 წ., იმავე ჟურნალში, ისტორიული მონოგრაფია „მთავარ ეპისკოპოზი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მეთვრამეტე საუკუნეში.“ რუსულათ დაწერა თედომ შვენიერი ისტორიული მონოგრაფია „კათალიკოზი ანტონ I მთავარ ეპისკოპოზი ვლადიმირისა და იაროპოლკისა.“

1889 წ. თედომ ცალკე წიგნათ დასტამბა ქართული გრამატიკა, სადაც ჩანს ავტორის დიდი დაკვირვება და ცოდნა. თედომ შეაგროვა და დასტამბა ორ დიდ ტომათ „ქრონიკები,“ რომელმაც დიდი ყურათლება მიიქცია ჩვენ მწერლობაში. ძალიან ბევრი საგაზეთო სტატიები აქვს დაწერილი, სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. რუსულათ აქვს დაწერილი:

Святѣйшій Синодѣ при Петрѣ Великомъ, „Философія Платона“ და სხ.

თედომ შეადგინა ქართულათ კატალოლი საეკლესიო და წ. კ. საზ. მუზეუმებისა და ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები. მან შემოიღო ჩვენში ძველი მონასტრების ისტ. ნახატ-ფრესკების გადმოხატვა.

ამ უკანასკნელ დროში, თედომ დაწერა „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე“, არაბების შემოსევა საქართველოში მე V [III] საუკუნეში და „აფხაზეთის კათალიკოზები“.

თედო პრაქტიკულათაც მოღვაწობდა. აგროვებდა ქართულ კულტურის ნაშთებს, შეადგინა ფირფიტების კოლექცია, ერთერთი დამაარსებელია ქართულ გიმნაზიის სასკოლო საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის და სხ.

ჩვენ გათქმულს ეპისკოპოზს-კირიონს ერთ დროს გადაწყვეტილიც ქონდა თედოს ტალანტი და შრომის უნარი სპეციალურათ არქეოლოგიასა და ისტორიაზე შეეჩერებია. მარა ეპ. კირიონის ბედი სხვაფერ დატრიალდა და ეს ორი ადამიანი „ბოროტმა სულმა“... გაყარა...

ამ ბოლო დროს, თედოს ნევრასტენია და თვალების ტკივილი აუტყდა მაღარის მეოხებით. ბევრი წამლობისა და წვალების შემდეგ, თითქმის გამოკეთდა და უნდოდა დაეწყო წერა საქართველოს ისტორიისა. მარა, როგორც მოგახსენეთ, რსულიათ მოულოდნელათ ბაღში საბედისწეროთ წაიქცა და სულიც დალია.

მიცვალეზულის ცხედარი ჩამოსვენებულ იქნა თფილისს და 30 ოკტომბერს დიდუბეში დაასაფლავეს, რასაც ხალხი ბევრი დაესწრო და სიტყვებიც წარმოითქვა.

### † გიორგი ხირსელი.

17 ნოემბერს ქ. თელავში შაქრის ავათ-პყოფობით გარდაიცვალა ფრიად სიმპატიური და ნიჭიერი ახალგაზდა (მ2 წლისა) მკურნალი, გიორგი ხირსელი.

გიორგი დაიბადა თელავში ერთი ღარიბი აზნაურის ოჯახში და სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. სასწავლებლის

*(თავი მეორე)*

კურსი მან ჩინებულათ დაასრულა და იქიდან სასულიერო სემინარიაში გადავიდა. აქ იგი თვისი ცოცხალი ნიჭით და შვენიერი ხასიათით ამხანაგების ყურათღებასაც იქცევდა და 1905 წელს საუცხოვოთაც დაასრულა მან სემინარია. 1906 წლიდან გიორგი დორაბატის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლობდა და დაასრულა კიდევ იქ კურსი. სტუდენტობის დროსვე,

ციხეში ჯდომამ მას შეძინა უკურნებელი სენი — შაქრის ავითმყოფობა.

1913 წლიდან ეს ფრიად მომზადებული მოღვაწე თავის შვენიერ შობილ მხარეს — თელავს ეწვია და მას აქით იქ მოღვაწობდა საზოგადო ასპარეზზე და ქართულ პრესაშიაც.

ამ წლის ივლისის თვეში, გიორგი სოფ. გურჯაანში, ახტალაზე წავიდა საბანაოთ. მარა აქ იგი მაღარით გახდა ავით და მას აქით ფეხზე აღარ ამდგარა.

17 ამ თვეს, ღლით ხუთშაბათს, განსვენების ნახევარი საათის წინ, ავითყოფს ვარდი მოუთხოვია და დიდხანს ხარბათაც უყნოსვია. შემდეგ-კი, უიმედოთ ჩაუქნევია ხელი და სულიც დაუღვია.

განსვენებული გიორგი ხირსელი

იგი იყო ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერი და მარტში გმობიერ, თანაგძნობის ბარათსაც გვწერდა...

20 ნოემბერს, 10 საათზე განსვენებულის-ცხედარი გამოასვენეს თელაველმა მკურნალე-ბმა და ქალაქის თავმა და დიდი პროცესიის წინ გამწკრივებული გვირგვინებით შეასვენეს სობოროში და წირვა და პანაშვიდიც გადიხადეს. წირვის შემდეგ, ცხედარი გამოასვენეს გალაფანმა და ანდერძი აუგეს.

აქიდან პროცესია სასაფლაოვსკენ გაემართა. საათზე გიორგის ცხედარი მისვენეს ახლათ გათხრილს სამარესთან, რომელსაც „ხირსელის პანთეონი“ დაერქმევა ამიერიდან.

სამარესთან ამხ.ს. მ-ნი სიტყვას ეუბნება, რომლითაც ვრცლათ დაახასიათა განსვენებულის მკურნალის ნათელი პიროვნება და მოღვაწობა.

განსვენებულის ქირისუფლებმა მიიღეს 30 დეკემბერში, მათშორის, საყურათღებოა ქ.

ბაქოდან მ. დანდუროვისგან. იგი წირავს 100 მანათს თელავში მომავალ სახალხო სახლის ფონდს. სახალხო სახლი, შემომწირველის სურვილისამებ, ხირსელის სახელობის უნდა იქნეს.

**ალექსანდრე გარსევანისძე ჰავჭავაძე.**

(გარდაცვალებიდან 70 წ. შესრულების გამო.)

მგოსანი ალექსანდრე ჰავჭავაძე იყო შვილი, ერეკლე 2 მეფობის დროს, საქართველოს დესპანის გარსევან ჰავჭავაძისა, რომელიც ერთი უძლიერესი და უმდიდრესი არისტოკრატი იყო მდიდარი კახეთისა. იმისეულს მამულებს ახლაც გაცვიფრებაში მოყავს ადამიანი კახეთის გაღმა და გამოღმა მხარეში — წინანდალსა, მუკუზანსა და ნაფარეულში.

გარსევანის ვაჟი, ალექსანდრე ნათლული იყო რუსთა დედოფლის, ეკატერინა დიდისა და განათლებაც, თავის დროის პირობაზე, შესაფერი მიიღო. სამხედრო სამსახურში მგოსანი ალექსანდრე დიდათ დაწინაურდა, სხვა და სხვა ომებში მიიღო მონაწილობა და 1812 წ. რუს-ფრანგთა დიდ ომშიაც ომობდა.

შემდეგ, თფილისში ცხოვრობდა და აქაც სხვა და სხვა პასუხსაგებ კომისიებში თავმჯდომარობდა.

1830 წ., როცა თფილისში რუსთა წინააღმდეგ შეთქმულობა მოხდა, ალექსანდრე-მაც ამ შეთქმულობაში მიიღო მონაწილობა დარუსეთში იქნა გადასახლებული...

ბოლოს, მგოსანი ალექსანდრე ჰავჭავაძე შეიწყალეს და ნება მიცეს საქართველოში დაბრუნებისა.

თფილისში, 1846 წ. 5 ნოემბერს ამ იშვიათი ადამიანის სიცოცხლე ტრადიკულათ დასრულდა. ეტლში მჯდომარე მგოსანი გაგიჟებულმა ცხენებმა გაიტაცეს, ეტლიდან საბედისწეროთ გადმოვარდა და იმ დღესვე სული დალია.

მგოსანი ალექსანდრე ჰავჭავაძე ერთი უნიჭიერესი გამომხატველია სპარსულ პოეზიის გმობიერებისა და ევროპის ხმელეთის სკეპტიციზმისა. იგი საფრანგეთის ლიტერატურას კარგათ იცნობდა და ვოლტერის ნაწერებით

იყო გატაცებული; მისი ნათლიასავით. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია კავკასიის ბუნების (ლექსი „კავკასი“) აღწერით კრიტიკის დიდ ყურათღებას იპყრობს და მისი ლექსნი სატრფიალო, სასიმღერო, გულის მომწველის კილოთი არი გამსჭვალული. აი, მინუშიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ღრმა აზროვანი ლექსისა:

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეწურვით,  
 არნ მოსულნი უმრავლესითა ურვით,  
 ფიქრ მრავლობენ განდიდებისა სურვით,  
 ატარებენ ჟამთა

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.  
 სამეფოანი ურთიერთსა მცველობენ,  
 შეუწყალოთ, მხეცებ კაცთა მხეველობენ;  
 მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ  
 და ყვავილოვნებენ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.  
 ძალი დავალს ღიმიტ ნაქცევთა ზედა,  
 სად სიმართლევ მისგან შენა რაზედა,  
 მისთ ყვავილთა ფერხითლახავს გზაზედა,  
 რომელნი სჭენებიან

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

შეენიერათ ახასიათებს ალექსანდრეს ლირიკას მდიდარი კახეთის მეორე დიდი და სახელოვანი შვილი—ილია ჭავჭავაძე:

მისი ლექსი შვებით, ღზენით,  
 ხან მეჯლისში შეფრინდება...  
 ხან რბის ველათ, მარტო გალობს  
 უდაბნოში, ვითა მწირი.  
 შეკვნესს შავ ბედს ქვეყნისასა,  
 ქვეყნისათვის ანატირი...

ორიგინალურ ლექსებს გარდა, მგოსანმა ვადმოთარგმნა: სპარსულიდან სადისა და გაფიზის ლექსები, რუსულიდან ალ. პუშკინის, გერმანულიდან გიოტესი, ფრანგულიდან ვოლტერის „ალზირა“, რასინის „ფედრა“, კორნელის „ციინა“ და ჰუგოს ლექსებიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაწერა „საქართველოს 1801—1831 წ.წ. მდგომარეობის განხილვა“, რომელშიაც ნაჩვენებია შემოხსენებულ წლებში მომხდარ აღელვებათა მიზეზებიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერები პირველ ხანებში ხელნაწერათ ვრცელდებოდა. მგოსანი სახამშრომლობდა ს. დოდაშვილის გაზ. „თფილისის უწყებაში“. აქ იყო დასტამბული ალ.

პუშკინიდან მის მიერ ნათარგმნი „ოცნება“. სამოციან წლებიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ხან და ხან, ისტამბებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები და 1881 წ. ცალკე წიგნათაც გამოიცა იმისი ლექსები. სრული, მდიდარი და ღირსეული გამოცემა ჯერ არ ღირსებია თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოებს.

თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის იშვიათი ოჯახი გათქმული იყო თელ საქართველოში თვისი უტურფესი და უშვენიერესი ასულებით. თვისი უფროსი ასული—ნიწო ალექსანდრემ მიათხოვა რუსთა სახელოვან მწერალს, დიდათ განათლებულ ალექსანდრეს-ძე გრიბოედოვს, „ვაი ჭკუისგან“ის დამწერს, მეორე ასული—ეკატერინე სამეგრელოს მთავარს—დავითს, მესამე—სოფიო ბარონ ნიკოლაის. ვაჟიშვილი იმისი—დავითი იყო, რომ ოჯახობიანა ტყვეთ წაიყვანა დალესტინის არწივმა—შამილმა 50-იან წლებში. დავით ჭავჭავაძის ასული, თამარი იყო მეუღლე ალექსანდრე ბატონიშვილის შვილის-ერეკლესი.

ამათი დიდი და მდიდარი მამულები, კახეთის საუკეთესო სოფლები—წინანდალი, ნაფარეული, მუკუხანი, ახაშენი და სხ. საუფლისწულო უწყებამ შეიყიდა.

† ჰენრიხ სენკევიჩი.

(1846—1916წ.)

სამშობლო მიწა—წყალს მოცილებული, შვეიცარიის ქალ. ვევი, 4 გიორგობისთვეს გარდაიცვალა ამ ჩვენი დროის ერთი უდიდესი ბელეტრისტი, სახელგათქმული პოლონეთის შვილი, ჰენრიხ სენკევიჩი.

ბედმა ასე ინება, რომ დიდი მხატვარი ვერ ეღირსა ენახა დამოუკიდებელი თვისი მრავალტანჯული მამული, რომლის აღდგენისა და აყვავებისთვის ბევრი, ძალიან ბევრი ოფლი და ცრემლიც უღვრია. სიკვდილის წუთებში, სულთბძოლაში კიდევ უთქვამს განსვენებულს: ძალიან ცუდ დროსა ვკვდები, თავისუფალი პოლონეთი ვეღარ ვიხილეო...

ჰენრიხი ვოლია-ოქეისკში დაიბადა 1846 წ. მან დაასრულა ვარშავაში „მთავარ უმაღ-

ლეს სკოლის“ კურსი და იმ დღიდანვე იგემა მწერლობის სიტკბოება. ჰენრიხმა იმოგზაურა და მოვლო ევროპის ხმელეთი და ამერიკაც და ამ მოგზაურობამ გააფართოვა, გაამდიდრა იმისი მხატვრული ტალანტი. ახალგაზდა მწერალმა აღწერა შვენიერი, მდიდარის ენით მგაზნერის ჩაბეჭდილებანი და ამ ნაწარმოებმა პირველ ხარისხოვანი მწერლის სახელი მოუხვეჭეს მას საქვეყნოთ.

ემილზოლასავით, იგი მეცნიერივით აგროვებდა თავის რომანებისთვის საწერ მასალებს, უყრიდა თავს და კრებდა დიდძალ ისტორიულ მასალას პოლონეთისა და სხვა კულტურული ერების ცხოვრების შესახებ და ამ მასალებით ამ შესანიშნავმა ბელეტრისტმა შექნა დიდი და მდიდარი რომანები: „ცეცხლითა და მახვილითა“, „ბატონი ვალოდივესკი“, „წარღვნა“, „ხმლოსანი“, „პოლონელთა ოჯახი“, „ვიდრე ხვალ, უფალო?“ და სხვა მრავალი.

ჰენრიხ სენკევიჩის ნაწერები ყველა კულტუროსან ერის ენაზეა გადათარგმნილი. ქართულათაც არი გადათარგმნილი მისი „ცეცხლითა და მახვილითა“, გრიგოლ ყიფშიძისგან, „წარღვნა“, ი. სონდულაშვილისგან, აკაკიმ გადმოთარგმნა მისივე რომანიდან სობოლჩიკოვ-სამარინის მიერ გადმოკეთებული პიესა-„ვიდრე ხვალ, უფალო?“

ჰენრიხ სენკევიჩის ნაწარმოებნი მრავალ ფეროვანი, მრავალ-გვარი მდიდარი შინაარსით არი შემკული და გასაოცარი მხატვრობითაც დაწერილი. ავტორმა გასაოცარი გმირობით და სულგძელებით ასწერა თვისი მრავალტანჯული ერის ჯოჯოხეთური ბძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ამ რომანების წაკითხვამ კიდევ უფრო გამსჭვალა თელ ქვეყნიერობის დემოკრატია ტანჯული პოლონელების უსაზღვრო, ღრმა სიყვარულით. ამიტომაც, ეს შესანიშნავი შვილი პოლონეთისა უზომოთ შეიყვარა პოლონელებმაც და სხვა დაწინაურებულმა ერების შვილებმაც.

ამ თუთხმეტი წლის წინათ მაღლიერმა პოლონეთმა საზეიმო დღესასწაული გაუშართა თავის სახელოვან შვილს და თელმა ერმა ერთ-

მილიონათ ღირებული მამული უყიდა და საჩუქრათ მიართვა მას.

### † ემილ ვერხარნი.

14 ნოემბერს ბელგიელი უდიადესი მგოსანი, ემილ ვერხარნი, რომელიც ქ. რუანს ჩავიდა ლექციის წასაკითხავათ, პარიზს დაბრუნებას აპირებდა იმ მატარებლით, რომელიც მწვანე ქუჩიდან გადიოდა. მატარებელი დაძრულიყო, როცა ემილი შეხტომას აპირობდა, ფეხი აუსხლტა და მატარებელ ქვეშ მოყვა. სულთმობძავი და თლად დამახინჯებული მგოსანი ძლივ-ძლივობით ლიანდაგიდან გამოათრის.

ემილ ვერხარნი თელი ჩვენი დიდათ შესანიშნავი ეპოქის ერთი უძლიერესი მხატვართაგანია. მან თელი სკოლა შექნა და მრავალი მიმბაძველიც ყავს.\*)

ამ მგოსნის ლექსი ფოლადივით მკვეთრი და ძლიერია, საოცრების ელექტრონის ნაკადათ იშლება თელ არე-მარეში და იწვევს თანამედროეთა შორის უდიდეს აღტაცებას და ენტუზიაზმს.

სტილი, მანერა წერისა ამ მგოსნს ფრიად ორიგინალური აქვს. მგოსანის შემოქმედობაში, უკეთესი კრიტიკოსების აზრით, სრულიათ და უნაკლულათ გამოიხატა თანამედროე ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების აჯანყებული სული. მგოსანმა გამოხატა პატრიარქალური სოფლის დარღვევაც და მანქანებით, ფაბრიკებითა და ზავოდებით ამობოქრებული ქალაქიც. არ იყო არც ერთი ძალა და საზოგადოებრივი გმობა, ენტუზიაზმი, რომელიც ვერხარნს არ გამოეხატა ლექსებში და არ ჩამოესხათავის საოცარს ნაზს, მიმზიდველს, მდიდარს რითმებში. ემ. ვერხარნის შემოქმედობამ ცოცხლათ დახატა ინდუსტრიის სასტიკი ბძოლა მეურნობასთან, დახატა ის ძალა, რომელიც სტიქიურათ ამორებს ადამიანს დღიურ

\*) უკეთესი თარგმანი ემილ ვერხარნის ლექსებისა რუსულათ ვალერი ბრუსოვს ეკუთვნის. სამწუხაროთ, ქართული მწერლობა ამ შესანიშნავ მგოსანს არ იცნობს და, შემდეგში, ვეცდებით მას ვრცელი წერილის გუძღვნათ.

სოფლურ ცხოვრებას და ისერის ქალაქის უზარმაზარ ფაბრიკის ცეცხლში, დახატა სხვადასხვა, ნაირ-ნაირი კონცეპციები და იდეოლოგიები, გამოხატა ჩვენი თანამედროვე მეცნიერების, ფილოსოფიის და საზოგადო-პოლიტიკური ცხოვრების დასკვნანი. როგორც მოგახსენეთ, ეს ის მოსანი იყო, რომელმაც ზედმიწევნით და შევნივრად, ცოცხლათ დახატა დაწინაურებული კაცობრიობის დიადი, ამღელვარებული სახე და მისწრაფება...

ემილ ვერხარნი, ჩამომავლობით ბელგიელი, დაიბადა წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში.

ყმაწვილობა გაატარა თავის სამშობლო ფლანდრიაში, რომლის ცხოვრებისა და ბუნების მრავალფეროვანებამ წაუშლელი ჩაბეჭდილება დატოვა ვერხარნის სულში. ჯერ კიდევ საშვალო სასწავლებელში ყოფნის დროს ვერხარნი გაიტაცა საფრანგეთის რომანტიკოსებმა, რომელთა შორის უპირველესნი ბიკტორ ჰიუგო და ლამარტინი იყვნენ. 70-იან წლების გასულს ვერხარნი შევიდა ლუვენის უნივერსიტეტში. აქ იგი თავდავიწყებით მიეცა პოეზიას. აქ პირველათ გაშალა ფთები მისმა ფანტაზიამ და დაწერა პირველი კრებული, რომელიც ვერხარნი 1883 წ. გამოცა—ეს „ფლამანდელია“.

ეს ის დრო იყო, როცა ევროპის ლიტერატურაში შესუსტდა ნატურალისტური მიმართულება და ფეხს იდგამდა ახალი, რომელიც სიმბოლიზმის სახელით შეიქნა შემდეგ ცნობილი. როგორც ვიცით, 80-იან წლების გასულს, ეს მიმართულება გაბატონდა ევროპის ლიტერატურაში და ნატურალისტური ხელოვნება, თუ ცოცხლობდა კიდევ, ეს მხოლოდ ემილ ზოლას ძლიერი და გენიოსური კალმის გავლენით.

ემ. ვერხარნის შემოქმედების პირველ პერიოდს ღრმა ბეჭედი დასვა ამ ახალი ხელოვნების გავლენამ. მხოლოდ 90-მან წლების გასულს გათავისუფლდა ემ. ვერხარნი „ახალი ხელოვნების“ გავლენისგან, როდესაც მის შემოქმედებაში თელი თვისი სიძლიერით ამოხეიქა საზოგადობრივმა ტალღამ. აქიდან დაიწყო კლასიკური პერიოდი ვერხარნის შემოქმედებაში.

ვერხარნის შემოქმედებამ გაიარა რამდენიმე პერიოდი. იგი უფრო მომწიფდა 90-იან წლების დასაწყისს. მარა ამავე 90-იან წლებმა გამოსახეს გასაკუთრებული კრიზისი ვერხარნის

შემოქმედებაში... ახალგაზდა პოეტის სული შეემა ბურუსმა მოიცვა... მან ამ დროს მძიმე ფიზიკური და მორალური ტანჯვაც განიცადა. აქ სიცოცხლე გამოისახა ვერხარნის შემოქმედებაში ღრმა პესიმისტური თვალსაზრისით, იგი გაიშალა პოეტის თვალწინ, როგორც შავი უკვანე ამაობისა, არარაობისა... ეს პერიოდი ვერხარნის შემოქმედებისა გამოსახულია მის შემდეგ ლექსთა კრებულში: „სალამოები“, „გზის კიდები“, „რომელიც წარმომიდგენ მე გზაზე“ (Средставшіе миѣ на путяхъ) და სხ.

ვერხარნის ამ დროის სულიერ განწყობილებას, მის სოფლმხედველობას საუკეთესოთ გამოსახვენ შემდეგი ლექსები: „არ ვიცი, სად“, „არარაობის მახარობელი“ და სხ.

ეს ის დრო იყო, როცა პოეტის გემი შეცურდა სიცოცხლის შავ უკვანეში და როცა სასოწარკვეთილ პოეტს აღმოხდენ შემდეგი სიტყვები: „И мачты скрипятъ, и трещатъ паруса моего корабля... Къ какимъ неизвѣстностямъ онъ устремленъ? Къ какимъ пробужденямъ!“\*.)

პოეტის თვალწინ ცეცხლის სვეტათ ჩამოესვენ წყეული მეტაფიზიკური საკითხები: რაშია სიცოცხლის აზრი? რაშია გამართლება ცალკე ადამიანის სიცოცხლისა და სოფლიო ისტორიის? აი, ის „წყეული“ საკითხები, რომლებიც თანა სდევნენ ადამიანის გონებას თელი ისტორიული სიცოცხლის გზაზე. აი, ის საკითხები, რომლებიც აღიმართენ პოეტის წინ თელი თვისი სიგძე-სივანით. „არარაობის მახარობელი“—აი, ლექსი, რომელიც სავსებით გამოხატავს პოეტის პესიმისტურ შეხედულებას სიცოცხლის აზრის შესახებ. იგი, ვით შავი დემონი, შეძახის სოფლიოს: „Я вѣстникъ безпрестанныхъ разложеній. Я вѣстникъ безконечныхъ разложеній. Страхъ—дѣсть, неслота-гозоръ, геройство—грѣхъ, въ моемъ кр ю все—прахъ, и я законъ д я всѣхъ“.

ამგვართ, პოეტი, ღრმით მეტაფიზიკური პესიმისმით გამსაქვალული, დატრიალებს სიცოცხლის აზრის საკითხებს და ის გადაჭრით უპასუხებს: ადამიანის სიცოცხლე არარაობაა, უაზრობაა.

\* ) იხ. იურ. ბრიუსოვის თარგმანი („Отплы- tie“).

კაცობრიობამ სამჯერ გაცა პასუხი ამ კითხვებზე.

პირველი პასუხი მე-VI-საუკ. ქ. წ. ფაკი-რთა ქვეყანაში გამოისახა. ბუდამ, რელიგიურ სისტემაში, ჩამოაყალიბა ნირვანის იდეალი. უკანასკნელი მიზანი სიცოცხლის მოსპობა. მეორე პასუხი საბერძნეთში დაიბადა. იგი გამოხატა, თავის იდეალისტურ სისტემაში, პლატონმა.

მესამე პასუხი თანამედროვე მეცნიერებამ გაცა. სიცოცხლის აზრი აქვე, დღე-მიწაზეა. სიცოცხლის აზრი სიცოცხლისავე შემოქმედობაში მხილდება. კაცობრიობის სიცოცხლე, სოფლიო ისტორია — კაცობრიობის მომავალი ბედნიერებით მართლდება. ჩვენ მომაკვდავნი ვართ — მარა კაცობრიობა უკვდავია; ჩვენ უბედურნი ვართ, მარა კაცობრიობა ბედნიერი იქნება. ჩვენ ვიბძვით, ჩვენ ვიხოცებით, ჩვენი შორეული ჩამოავლობის ბედნიერებისთვის. ჩვენ ვიტანჯებით და ვკვდებით ქვეყანაზე ოქროს საუკუნის დასამყარებლათ. ამაშია აზრი, მიზანი და გამართლება ცალკე ადამიანის სიცოცხლისა და სოფლიო ისტორიისა. ასეთია თანამედროვე მეცნიერების. პასუხი. მარა ვმ. ვერხარნის აღნიშნული პერიოდის შემოქმედობამ, რომელმაც უარყო მეცნიერების ყოველგვარი გამარჯვების ნაყოფი, უარყო ეს პასუხიც სიცოცხლის აზრზე და ისევ დაუბრუნდა პრობლემის მეტაფიზიკურ — პესიმიზმის თვალის საზრისით ახსნას. მარა კრიზისმა ვერხარნის შემოქმედობაში მალე გაიარა. შავი ბურუსის ჯანყი, რომელიც ეწვია პოეტის სულს, მალე გაიფანტა. მისი გაცისკროვნებული სული ხელახლა ეზიარა სიცოცხლეს, სოფლიოს სიყვარულს... თელი თვისი სიძლიერით გაიშალა ვერხარნის სულში და მის შემოქმედობაში საზოგადოებრივი ნაკადი და აქიდან დაიწყო დიდებული კლასიკური პერიოდი ვერხარნის შემოქმედობისა...

ვერხარნი სიტყვის მკვდელი ნამდვილი მონიე გახდა. მისი თანამემამულე, სახელოვანი მოქანდაკე, კერმესის ხმაურობიდან იგი მონიესავით თვით ცხოვრების ხმაურობას და მოძრაობას უბრუნდება. მერე, სადაა ისეთი მოძრაობა, თუ არა ქალაქში? და, აი, ვერხარნიც შეხარის ქალაქს, შეხარის ელექტრონით გაჟღენთილ მის ქარხნებს, მანქანათა ძახილს, რომელნიც ანდამატურის ძალით

მოეწვევიან სოფლებებს, აქ, ამ ახალს სიცოცხლის ფერხულში ჩასაბმელათ და ისინიც (სოფლებები) „მოდიან“.. წეროებივით გამწკრივებული მოდიან... უნდათ, თუ არ უნდათ, მოდიან... უკან მათ რჩებათ დაცალიერებული, უსიცოცხლო სოფელი. ბძოლა, აჯანყება, დაუდგრომლობა, — აი, რას ხატავს ვერხარნი რღვეული წინადადებით, რღვეული ფერადებით, გოტიურ ჩუქურთმებით, ფოლადის სალტეებით გამოკვეთილ ნაკვეთ ხაზებით.

ემილ ვერხარნი ომამდი პატრიარქალურ ცხოვრებას ეწეოდა. იგი ნამდვილი მოციქული იყო ყველასთვის. ყველა თანაბრათ გძობდა მის ძალას. 1912 წელს, მართალია, თვით ბელგებმა შეურყიეს ცხოვრება, არჩევნების გამო, უმტკიცებდენ, ხმის მიცემის უფლება არა გაქვს, რათგან შენ ფრანგი ხარო... მარა ეს იყო წუთიერთ. მან, შემდეგ, კიდევ იამაყა, თუ ბელგელი არა ვერ, მაშ, სოფლიო მოქალაქე ხომ ყოფილვარო! და, აი, ეს სოფლიო მოქალაქე, ომის გამოცხადებისთანვე, გულისწყრომის აფრას აუშვებს, „სოფლიოდან“ ისევ სამშობლოს საზღვრებში ეშვება და მხარში ამოუდგება უკვე პორტფელ აღებულს, სოციალისტთა ლიდერს, ემილ ვანდერველდეს, ჟიულ დესტრეს, მეტერლინკს და მათთან ერთად იერიჰონის საყვირით შექმნის კიეინს, თელ ქვეყანას მოუწოდებს გაქეილ სამშობლოს უფლებათა დასაცველათ. ამ დროინდელ ემილ ვერხარნს ეკუთვნის მისი ცნობილი თხზულება „გასრხლიანებული ბელგეთი“. მართალია, ამ წერილებს, როგორც ანატოლ ფრანსისას, პოლბურჟესას, თუ სხვებისას, ტენდენცია ეტყობათ, ღირებულებების მხრივ დიდს საფასურს არას წარმოადგენენ და მათს სახელსაც არას მატებენ ყველაფერის მხრივ, როგორც ეს სამართლიანათ შენიშნა არა თუ საფრანგეთის, თვით რუსეთის კრიტიკამაც-კი. მარა შეურაცხყოფილ ადამიანის გულისწყრომა ყოველთვის შესაწყნარებელია იქ, სადაც სამშობლოს კერას ფერფლათ აქცევენ და მამულიშვილთა გვამებზე ძღვევამოსილნი დროშების ფრიალით მოაბიჯებენ.

ზვიადი, აჯანყებული სული, შეურთებელი დარჩა ვერხარნი სიკვდილამდი. სამწუხაროა მხოლოთ ის, რო ფატალურათ მის თავზე ახდა ყოველიფერი, რასაც ეტრფოდა, რასაც სიცოცხლეში ეთაყვანებოდა. სიცოცხლე, მოძრაობა, ტენიკისადმი თაყვანისცემა, რასაც



იდეალათ ისახავდა იგი, თურმე, მისთვისა ქსოვდა აღსასრულის აპოთეოზს.

‡ ჯექ ლონდონი.

ამერიკის დასავლეთის ერთერთ შტატში გარდაიცვალა ამერიკის გამოჩენილი მწერალი — ჯექ ლონდონი, ჩამომავლობით, ინგლისელი.

ჯექ ლონდონი პირველ ხარისხოვანი მწერალი იყო. მის აუარებელ მოთხრობებს და რომანებს გატაცებით კითხულობდნ დიდი, თუ პატარა.

მარტივი და ლამაზი, მდიდარი ენა, უბრალო შინაარსი და ბუნების შევნიერება მამა მხნეველებელი სურათები, აი, რა ამკობდა ამ ფრიად სიმპატიურ მწერალს.

ჯექ ლონდონმა მთელი სალიტერატურო სკოლა შექნა. მას მიმდევრები გამოჩნდა, როგორც თვით ამერიკაში, ისე ევროპის ხმელეთზეც.

ამ მწერლის ნაწარმოებთა გმირები მალაღლი სულის და ძლიერი ნება ყოფის პატრონები არიან.

გაჭივრების ატანა, დაბრკოლებათა და თრგუნვა და მიზნის მიღწევა—აი, რა ახასიათებს ჯექ ლონდონის გმირებს.

ერთ ერთ თავის ნაწარმოებში ჯექ ლონდონი მოგვითხრობს აფრიკის ველურთა შორის მცხოვრებ ამერიკელის ამბავს. ამერიკელს რაღაც პლანტაცი აქვს, რომელზეც კაცი ქა მია ველურებს ამუშავებს. ეს ამბავი ერთ განმარტოებულ კუნძულზე ხდება და სანოვაგე, როგორც იმერიკელისთვის, ისე ველურებისთვის ყოველკვირა ამერიკის ერთ გემს მოქონდა. რაღაც მიზეზების გამო, ორი კვირა ზედიზედ არ მოსულა კუნძულზე. მშვიერი ველურების უმეტესი ნაწილი ავით გახდა და ერთად ერთ ამერიკელის მოსავლელათ გახდნ. ბოლოს, ავით გახდა თვითაც; მას პირდაპირ სულს უხუთავდა ციებ ცხელება. მარა, მიუხედავით

იმისა, რო თვით ველურებიც-კი ვერ უძლებდენ ჩვეულ ციებ-ცხალებას და იხოცებოდენ. ამერიკელი სულის სიმტკიცის, ძლიერი ნებისყოფისა და მთელი, მაგარი ძარღვების წყალობით, ლონდონს არ გაკარებია და, პირიქით, ავითმყოფ ველურებს არჩენდა. მარა, როცა ტანთელად დარჩენილი კაცი ქამიები აუჯანყდენ ამერიკელს და შექმაც მოუნდომეს, ამერიკელი არ დაიბნა, არ შეშინდა და, პირიქით, რაღაც არა ჩვეულებრივისულის ძლიერება გამოიჩინა. აივანზე მდგომი ამერიკელი ერთ ხანს დააშტერდა მის შესაქმელათ მოსულ, ცულებით, ნიჩბებით და ფიწლებით შეიარაღებულ ველურებს — ქორივით დააფრინდა აივნიდან აჯანყებულებს და, რამდენიმე წამის განმავლობაში, გაფანტა და სამუშაოზეც დააბრუნა ყველანი. არ გასულა დიდი ხანი და კუნძულს სურსათით დატვირთული გემიც მოადგა. ამერიკელი გემის მკურნალი მოაჩინა და კუნძულის ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ისეთი ტანთელი, ძლიერი პიროვნების მხატვრული დახატვა, როგორც არის ამ მოთხრობის გმირი, სულს უდგამს და ცხოვრების იმედს უღვიძებს ძარღვებ დაძენძილს, სულით დაცემულსა და დაეადებულ თანამედროე ევროპის კანტორისა და კაბინეთის ხალხს... აგძნობიებს მათ, რომ აღამიანი, მართლაც, ღმერთია ბუნებისა და მის ხელშია ქვეყნის ძალთა სადავები... თუ აღამიანს ვერ გამოუყენებია ჯგროფნათ თვისი უპირატესობანი და უიშედობას მოუცავს მისი სული, ამაში ბრალი ედება მხოლოთ ცხოვრების იმ პირობებს, რომელშიაც იგი აღზდილია და იმყოფება.

პირველი და უკანასკნელიც.

ა--ტას.

ბროლია მისი გულ მკერდი და სული—სიყვარულიო; ზედ იაღონი დამღერის, ლხინი აქვს გამართულიო.

\* \* \*

თვადები მელნის ტბათ უდგას, ტრფობაა ჩასახულიო. წარბნი, წამწამნი მცველათ ყავს და ჯადოთ სიხარულიო...

\*  
\* \*

იმისი ლაწენი, ბაგენი  
ვარდის შევენება არიო;  
განდევლოს ბერსაც მოხიბლავს  
შიგ ალი ნაგუბარო.

\*  
\* \*

ნაზ, ციურ სახეს უშვენებს  
ოთხი ასპიდის გველიო.  
მდღუღარეთ გძობა უღელავს,  
ქაბუკის ცეცხლი მწველიო...

\*  
\* \*

მდინარის პირათ ხშირათ ღვას  
და მოთქვამს ხმითა მწარეო.  
მისი გამგონე მთა-ბარი  
კრემლებს ღვრის, მგლოვიარეო....

\*  
\* \*

— „რათ მიმატოვე, მიჯნურო,  
„უარ ყავ სიყვარულიო...  
სხვერპლათ გწირავდი სპეტაკ გულს,  
რო ყოფილიყავ სრულიო...“

\*  
\* \*

„მდინარე მიმღერს ნანინას  
და მიტკბობს ყურთა სმენასო;  
არ მაკლებს ვარდი ვარდობას,  
ბულბული თავის სტვენასო.“

\*  
\* \*

„მარა... ვარ ობლათ, მარტოხლათ;  
შევჩივი ზღვას და ხმელეთსო.  
ჯოჯოხეთია აქ ყოფნა...  
ფუ, ამ სიკაცხლის, ბნელეთსო!...“

\*  
\* \*

მდინარე მის ხმებს ბანს აძლევს  
და მიაშფოთებს ზვირ-თებსა...  
კრემლები მდღუღრათ ჩამოდის  
ვარდოვანს მიღვრებს და მთებსა...

\*  
\* \*

მარა დადგება მაისიც,  
ვარდს დაყვებს გიჟი ბულბული,  
და მოვა დრო, რო ტურფასაც  
დამღერებს მიჯნურის გულიო...

მიჯნუზი.

აპრილის პირველი 1893 წ.

# ესკიზი.\*)

(დასასრული.)

III

...ჩვენ გვეცინიან ფოლადის სახეები. გვეცი-  
ნიან იმიტო, რომ არ ძალგვიძს „შევაჩეროთ  
მათი მოძრაობა და რისთვის არ დაგვეცინებენ?!  
ჩვენ მათ ავუბით ენა, რო ჩვენ წინააღმდეგ  
ამეტყველებულიყო. ჩვენ—მათ მივეციოთ ძალა,  
რო ჩვენთვის მუსრი გაველო და ასრულებენ  
კიდევ წმინდათ თვის დანიშნულებას და  
ვალდებულებას. მხეცია ადამიანი! იძახის იგი  
გულ-შემზარავ ხარხარში.

მხეცია ადამიანი! პასუხს აძლევს შავი  
ჯურღმულიდან იგივე ადამიანის ხმა...

და არ უჩანს ბოლო ამ საშიშ ხარხარს.  
ყველაფერი არეულია, ყველა შიშსა და წუხილს  
განიცთის.

უზარმაზარ ხეთა ნაგლეჯები ჰაერში ფოთ-  
ლებივით ფრიალობენ. კენესის და ცახცახებს  
უფოთლო ტყე. (კეცხლის ალში იწვის დედა-მი-  
წის ზედა პირი. მთების გადაღმიდან მოისმის  
საშინელი ძალით ზარის რეკვა. იქიდან სიკვდი-  
ლის დემონი ეძახის აქ დარჩენილთ. აქ-კი ისმ-  
ის მეორე ხმა. ეს სიკაცხლის მკელის ხმა  
არის. იმისი ხმა სასოწარკვეთილებით აღსავსეა  
და სამგლოვიარო. და მისი სამგლოვიარო ხმა  
იფანტება კიდით-კიდემდი, ვით ლოცვა გულ-  
დამწვარი მეუღაბნოესი, ვით ლოცვა წვერ  
თეთრი ბერისა ..

კეცხლის ენები—კი ისევ იკლაკებიან ჰაერში  
ღ არ ცხრებიან. და ისმის აჯანყებული მანქა-  
ნების საშინელი გუგუნნი!.. ვაიმე, დედააა!...

გულის სიღრმიდან ამოსკდა საშინელი  
ბლავილით გულ-განგმირულო ახალ გაზღას...

მიშველეთ! დამეხმარეთ, ნუ დამტოვებთ,  
მე ცოცხალი ვარ, ცოცხალი... ყვირის სასო-  
წარკვეთილებით მიწაზე განართხული ქაბუკი.

მარა, ამოათ... მშველელი არსაიდან ჩანს.  
და იკარგება მისი მოწოდების ხმა ქექა-ქუხი-  
ლში...

და მრავალ სხვათა ხმებიც... ჯოჯოხეთ-  
ური შემოკმედობა დუღს. კენესის და გმინავს

„იხ. ცხოვრება,“ № 15.

ზესკნელ-ქვესკნელი... თუ მოგისმენიათ თქვენ უკიანის ტაოლათა ბლავილი და ხმაურობა, ან ზამთარში ქარიშხლის საშინელი ქვითინი და ღრიალი... სწორეთ ამათ მოგაგონებდათ აღამიანთა კენესა და ოხვრა. სისხლში მოსვრილნი მომაკვდავნი ზენაარს შეღალადებდენ, სიცოცხლის დაბრუნებას. მარა ამაოთ, ამაოთ...

ოხ! ღმერთო ჩემო, სად ვკვდები, სად?! ვინ მომცემს პასუხს. ვინ!..

ახ! სამშობლო-ში მაინც ვკვდებოდე, იქ მდიდარი კოლხეთის ცის ცვარნი მაინც დანამადენ ჩემ ობოლ საფლავს. სატრფო გულისა მაინც დამიტირებდა...

აქ-კი ჩრთილოეთის ყვავ-ყორანთა საჯიჯგნათ ვრჩები..

აქ ჩრდილოეთის ცივი ქარი დამიტირებს მე...

ოღნავ გასავონი ხმით წარმოთქვა ლევანმა და მეგობარს გულზე მიეყრდნო...

ფუჭი იყო ნუგეში მეგობრისა. ის ტყვიით გულ-განგმირული, სიცოცხლეს ეთხოვებოდა...

უკანასკნელათ, მოავლო მან ფერ-მკრთალი თვალები არე-მარეს და ერთი საშინლათ დაინრიალა და ამ ხრიალში ისმოდა თამროს სახელი...

ეს ხრიალი უფსკრულიდან ამოხეთქილ ქარიშხლის ხმასავით სადღაც დაიკარგა, შმაგ ღრიალცვლში...

თამრო!..

დიდხანს იმეორებდა ამ სახელს გავერანებულები, ტიალი არე-მარის სივრცე და ეს ხმა იკარგებოდა თრთოლვა—ცახცახით ცის უფსკრულებში...

შეყვარებული ასული-კი უცთვის კაბუკს. მარა ამოაა მისი ცთა... ის ვერა დროს ველარ იხილავს მას. ის ვერ იხილავს მას, ვისაც ეტრფოდა, ცეცხლოვან აგზნებით... იგი შორეულ ჩთილოეთის მხარეში საუკუნოთა დაიმარხა...

ამის პასუხი ყოუა, ვით

ქვიონი შემოლამების ნისლისა.

ნ. ზენობნიელი.

ქ. ფოთი

1916 წ. 15 თიბათვე.

\* \* \*

### ქღვნათ №—ს

...და აფასხი ის რითმები, და ავკინძე იგი ხმები, ჩავაქსოვე გულის წყრომა, დავსწან, ვითა შენი თმები; აწ, ვინ უწყის, სად გამტყორცნის უკულმართი ბედის სრბოლა,— მარა ჩემთვის აღარ სუფევს, არც შიში და არცა ძრწოლა...

შიში მხოლოთ შენთვის მქონდა, ვით ფარვანა გვევლებოდი. სიოსაც არ გაკარებდი, სანთელივით გაღნებოდი, და, მის ნაცვლათ, რა მომიძღვენ და, მის ნაცვლათ, რა მომეცი?! მომიშხამე ეს სოფელი და...ისარი გულს დამეცი!..

ამის ფასი, რა შეგცოდე, ეს გული რო დაშოკდე? მითხარ, მითხარ!. უნდო გველო, ამის ფასი, რა შეგცოდე?!..

დე, წყეულიშც იყავ ქვეყნათ, სიკეკლუცის ჯადო—ქარო, დაინახე ჩემი ტანჯვა, იქნებ, უფრო გაიხარო...

არ გაწითლდე, ავისკასდი, უზნეობის მყარლო ბუდე,

სანამ ქვეყნათ იშვებოდი—მუცლათ, რათ არ გაიგუდე!...

ჯანდაბა.

„გზა.“

(შემდეგი.)

### მოქმედება მესამე.

(სიმონ კეთილადის ეზო. მარცხნივ მოჩანს ისლით დახურული ოღა-სახლი, მარჯვნივ ეზო გაშლილია და იწყება ბაღი. ეზოს ჩამოუღის სოფლის შარა-გზა.)

შვა ეზოში, საცხვის ქვეშ, ჭილოფი აგია და ზედ მხარ—თედოზე წამოწოლილი გერმანე წიგნს კითხულობს, საცხვზე მიღებულია გძელი ხის საჯდომი. ფარდის ახდისას სახლის დერეფანში ზის ქეთო და გერმანეს ხალათს კერავს. სიმონ გზის პირათ—გარღვეულ ღობეს ღობავს. სახლიდან გამოდის ნინო.)

ნინო. (კრუხს უხმობს) მოჭიის, მოჭიის! სად დეიკარქა აწი, აი, ტურის შესაქმელი? ცავ, ქეთო, არ დაგინახავს მოქვია? ქუჭულები დამეხორცება, ქუჭულები, თვარა იმას არ ვჩივი.

ქეთო.—წახანაი-კი დეგინახე, სახლის უკან იქეებოდა და ახლა, არ ვიცი!

ნინო.—(სახლის კედელს მიეფარება,) აგერაა, აგერ, აი, ტურის კერძი! (გამოჩნდება. გერმანესკენ მიდის) შვილო, გერმანე ხელს ხომ არ შეგიშლი, ცოტა საქმე მაქვს.

გერმანე.—რა გნებავს, დედა-ჩემო?

ნინო.—შენი სიკეთე და კარქათ ყოფნა, შვილო! დღეს დილას კიდევ იყო ჩვენსას მართაიე, აი, ჩვენი ციციას თაობაზე იიკაცი გეითელის! თუ მაძლევა ქალს, ჭი მომეცითო, თვარა და უარი შემომითვალეთ. შენ სახლში არ იყავი, შვილო და უშენოთ ვეფერი ვერ ვუთხარი. მართაიე კიდევ გამეიარს, შვილო, საღამოს და ნამდვილი პასუხი უნდა გავატანო. დედა შვილობას, ნუ ჯიუტობ, შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი, მივცეთ ქალი იმ კეთილშობილ კაცს და გავათავოთ.

გერმანე.—რომელ კეთილშობილ კაცზე მელაპარაკები, დედა-ჩემო?

ნინო.—რომელზე, შვილო და, აი, სასიძოთ, რო გვეძლევა, დავით მოჩხუბარიძეზე!

გერმანე.—ხა, ხა, ხა, კეთილ შობილი კაცი, კეთილშობილი.

ნინო.—რას ამბობ, შვილო, კეთილშობილია, აპა, რაა? აზნაურიშვილი, დიდი კაცის ჩამომავლობა. აი, ჩვენი სოფელი ბაბუამისის იყო, თურმე, სწორეთ ძალი არ დაყფს ჩვენს ბედს, შვილო, ძალი!

იხ. „სწავრება“, № 15.

გერმანე.—მერე, რა გინდა ჩემგან, დედა ჩემო, არ მეტყვი?

ნინო.—შენი ბედნიერება, ჩემო სიცოცხლე, რა უნდა მინდოდეს? შენ თავს ვფიცავ, შვილო, კაი ბიჭია მოჩხუბარიძე და მივცეთ ციცი ბარადმე!

გერმანე.—(გულმოსული) ათასჯერ მითქვამს, დედა ჩემო, რო მისი კაი ბიჭობა არ მინდა მეტყინ და აღარ დამეხსენები? ის ყოვლათ ზნე დაცემული კაცია, ყოვლათ გაოხრებული და მას ქეთოს არ მივცემ, გესმის, არა! ღმერთო ჩემო, რა გქნა, რო ვერაფერი შეეასმინე ამ ხალხს! (აღგება და დადის).

ნინო.—მომკალი, ღმერთო დაქია! რას ყურობს ამას ჩემი დასაფსები ყურები? მოჩხუბარიძე ჩემი ციციას შესაფერი არ ყოფილა. ნასწავლი, აზნაურიშვილი, მე შენ გეტყვი, ბიჭობა აკლია, თუ რაი? თავმდაბალი, გაზდილი, რო დამინახავს, შორიდან დამიკრავს თავს. აპა, მაგას რაე ვიფიქრებდი, თუ ის ჩვენ სიძობას იკადრებდა?

გერმანე.—(გაბრაზებული) ფუ, დაგწყვილათ ღმერთმა და შეგაჩვენათ! როგორ მომაძულეს თავი, როგორ? ნეტაი, ვიცოდე, რა გინდათ ჩემგან, რა? (სიმონ ღობვას თავს ანებებს)

სიმონ.—(ნინოსკენ) რა დაგემართა, დედა-კაცო, ერთი მითხარი? გაგიჟდი, ქალო, თუ რა ღმერთი გიწყრება? დაეხსენი მაგ ბიჭს, გელაპარაკები, დაეხსენი. გინახავს კაცი მაგისანი? მეისპო სხვაი კაცი ქვეყანაზე, თუ რაეა საქმე? ერთ კაძახს ყოველთვის ვიშოვი ჩემი ციციზა, ყოველთვის! (განაგძობს მუშაობას. ქეთო სახლში შედის)

ნინო.—(აღგება) ჰე, დედა-შვილობამ, კაი დაგემართოს, რაე შენ გადამერიე ამ ბოლო ხანს! (სახლისკენ მიდის და მელაპარაკობს) აი, აი, რა ბედს უშობთ ხელიდან, რა ბედს.

გერმანე.—ეხ, ნეტავი ადრე მივიღებდექე მაინც აპოსგან პასუხს. ასე ყოფნა მეტი შეუძლებელია, შეუძლებელია. მართლაც და, რას ჩავციებივარ ამ სოფელს, რომ არ ვიცი? ხო ვხედავ, რომ აქ ჯერ-ჯერობით არაფერი კეთდება. ჩემი სისხლი, ოფლი აქ ჩამიქცევი. მარა

დღეს მაინც ვერაფერ სანღვემოს ვხედავ!  
(გზაზე გამოჩნდება გლახუნ).

გლახუნ. — სიმონ კეთილადეს გოუმარჯოს!

სიმონ. — ღმერთმა გაგიმარჯოს, გლახუნ!

გლახუნ. — კაია, რო გერმანე სახლში ყოფილა, მისი ნახვა მინდა.

სიმონ. — სახლში გახლავს, სახლში, მობ-  
ძანდი! სხვა გლახუნ, რაგვაა შენი და სევასტი-  
ეს საქმე,ა?

გლახუნ. — რაგვაა, ძამია და ძალიან გლა-  
ხათ! ათი კაცი კი მყავს ჯერ-ჯერობით იმ წყე-  
ულთან მივხავნილი, მარა მაინც აფერი-გამე-  
ვილა მისგან. შემომითვალა! არც შენი ძროხა  
მომიკლავს და არც ერთ კაპეიკსაც არ გაძლე-  
ვო, სადაც გინდა, იქინე მიჩივლეო.

სიმონ. — კაი ამბავია, შენ ნუ მომიკვდე!  
კი, მარა, კაცო, რაგვა ასე უნდა ავაშობიოთ  
თავი მაგ კაძახს? ღმერთო მომკალი და ქია,  
რაგვა, აბა, მაგის ყმები ყოფილვართ ჩვენ, თუ  
ამისანა ცუდ საქმეს იზამს და ასე შევარჩენთ!  
არა, ძამია, არა, მაგის შერჩენა შეუძლებელია,  
შეუძლებელი!

გლახუნ. — ასეა, ჩემო სიმონ, ღარიბი კა-  
ცის საქმე და რას იზამ? სევასტას, აბა, რა  
უჭირს? თელ სოფელს ივი ხრავს, ბატონი იგია  
და პატრონი, ქი იცის ტყემალსავით შერჩება  
ყველაფერი სიავე და რეიზი არ იზამს.

სიმონ. — არ შერჩება ყოველთვის, ძამია,  
არა! სევასტიე გახლდა ერთ დროს, რომ იყო  
შოკაკული, აი, ასე! (შოკაკულ თითს უჩვენ-  
ებს).

გლახუნ. — ჰე, ჩემო სიმონ, იი სხვაი  
დროი იყო, ძამია და ახლა-კი სულ სხვაი  
დროია! ახლა სწორეთ მისი დროი დადგა და  
კიდევ დაგვაჯდა კისერზე. შერჩენით, აბა, რა-  
გვა მინდა შევარჩინო, თუ რამე გამივიდა. მა-  
რა, რა ვიცი, გულს-კი შევიფხან მაინც, აგერ  
თხოვნა მინდა გერმანეს დაეაწერიო და სულ-  
ში შევეტანო. თუ რამე გამევიდა, ხო კაი,  
თვარა და სევასტიეზა დავბადებულვარ და ვი-  
თამ რატომ არ დამაჯდება კისერზე. (გერმა-  
ნესკენ მიდის)

სიმონ. — მასე, ჰო, უჩივლე-კი არა სული  
ამოართვი, სული!

გლახუნ. — (მიუახლოვდება გერმანეს) შეა-  
დღე მშვიდობისა, გერმანე!

გერმანე. — გაგიმარჯოს, გლახუნ! თხოვნის  
დაწერა გინდა, ალბათ, ხომ?

გლახუნ. — დიახ, ძალიანს-კი დაგიმადლებ,  
თუ სიკეთეს მიზამ. გუშინაც მიუფზავნე სევას-  
ტიას მოციქული, ეგება, უსულოთ და უჯან-  
დაბოთ გამევიდეს რამე-მეთქინ, მარა, თქვენ არ  
მოუკვდეთ ჩემ თავს, იმის მეტი, მისგან აფერი  
არ გამევიდა: რუსული ატკაზი შემომითვალა.

გერმანე. — ახ, მაგი უსინდისო, მაგი! (წა-  
მოდგება, სახლიდან გამოაქვს ტაბურეტკა, ქა-  
ლალდი, საწერ-კალიამი და სამელნე) მოწმეები  
ვინ და ვინა გყავს, გლახუნ?

გლახუნ. — ვინა და, აი, ჩვენი მიხაკი, და  
სილევანაი! სწორეთ იგინს დიენახა სევასტიე  
რო მოვარდნილიყო ჩემს წაბლიასთან და ნა-  
ჯახი დაერთყა. (გერმანე წერს. მოისმის ნელი  
ლილინი. გამოჩნდება თედორე)

თედორე. — (სიმონს) გამარჯობა შენი, ბე-  
რი კაცო! რაგვა საქმე,ა? აღარ აპირეფ იქით  
კენ, შენ რომ იცი?

სიმონ. — (სალამს აძლევს) ღმერთმა შენი  
თავი მიცოცხლოს, თედორე! საით იქით ბძა-  
ნებთ? არ ვიცი, ამ დღეებში არსათ არ ვაპი-  
რებ წასვლას.

თედორე. — როგორ, თუ არსათ, კაცო?  
ნუ თუ იქით არ აპირეფ, აი, იქით, სიღვანაც  
უკან აღარ ბრუნდებიან? ხო მიხვდი, ა?

სიმონ. — ჰო, მიხვდი, მიხვდი... მარა ჯერ  
არა, ჩემო თედორე, ჯერ არ ვადამიწყვეტია,  
თუ ღმერთმა ძალათაი არ წამიყვანა! ჯერ,  
აგერ, ციცას გავათხოვებ, მერე, ბიქს დავა-  
ცოლ-შვილებ და მერე-კი, თქვენდა სანაცვ-  
ლოთ იყოს ჩემი თავი.

თედორე. — ეე, ჩემო სიმონ, შენ თუ გერ-  
მანეს დაცოლ-შვილებს უცადე, მგონია, შენ-  
ზე აღრე მე გავემზავრო იქით.

გლახუნ. — ეშმაკმა წეილოს შენი თავი, რა  
ხუმარა შენა ხარ! (თედორე და სიმონი ჩუ-  
მათ ლაპარაკობენ)

გერმანე. — (წერას ათავებს და გლახუნს  
დაწერილ თხოვნას აძლევს) აბა, გლახუნ! ვი-  
ცი, ღორმუცელაძესთან სხვაფრივ მოქმედება,

არ შეიძლება, თვარა ამ საშვალეობას არ გირჩევდი!

გლახუნ. — (თხოვნას გამოართმევს) რა ვქნა, გერმანე, ღმერთმა იცის, მეც არ მინდა აი ხლაფორთი, მარა რომ აფერი გადის მაგ წყეულთან? მშვიდობით, გერმანე! ძალიან მადლობელი ვარ სწორეთ, ძალიანი! (მიდის).

თედორე. — (მასკენ მიმავალ გლახუნს) აი, ბერი კაცი, რაღას უცდის ქე მაინც? რაეა, ბერი კაცი, საქმე? აღარ გვწორდები აწი?

გლახუნ. — (მიუახლოვდება მათ) კი, მარა ძამია, რაეა ჩემს სიკვტილს რომ იჩქარი, მამა შენიც ხო ჩემი კბილა? რეიზა იმას არ აგზავნი საიქიოს? წორეთ ჯერ მამა შენი უნდა წევიდეს იქ და, მერე, ვნახოთ: თუ კი საცხოვრებელია იქინე ქი შემომთვლის იგი და ქე წავალ! (იციანიან. გლახუნ გადის).

თედორე. — (მიმავალ გლახუნს) მაშ, მოემზადე გლახუნ, მოემზადე!

გერმანე. — (თედორესკენ) მორჩი, კაცი, გეყოფა ამდონი სისულელე! მოდი აქ, სიტყვა მაქვს.

თედორე. — (გერმანესკენ მიდის) მოვდივარ მხოლოთ ერთი პირობით — თუ ქეთოს მურაბას მოატანიევ!

გერმანე. — უკაცრავათ, მე ქრთამების მიცემას ჩვეული არა ვარ!

თედორე. — მაშ, მე თვით მოველაპარაკებო ქეთოს (ქეთოს ეძახის), ქეთო, ქეთო! (ქეთო კარებში გამოჩნდება) აა, სალამი ჩვენი სოფლის მზეთ უნახავს! მოწიწებით მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე და, გთხოვ, მურაბითა შენითა ყანყრატოსა ჩემსა უქნა ჩატკბილება, რამეთუ მონა შენი გეტყოდეს ისეთ რასმე, რისთვისაც მას ლოცავდე ყოველ დღე და ყოველ ღამე!

ქეთო. — ამ მინუთში, ძამია, ამ მინუთში? მურაბა, რა უნდა იყოს, თუ-კი რამე კარგს მეტყვი! (კარებში მიიმალება).

თედორე. — (გერმანეს) აა, ხო ხედავ? გახლავარ ბიჭი! შენ-კი ნურას უკაცრავათ; ენასაც არ დაგაწეწებოფე ზეთ! (ქეთოს გამოაქვს მურაბა) ჰო, ჰო, ჰო, ჰო, როგორ ჩავიტკბილებ ყანყრატოს, როგორ?

ქეთო. — (თედორეს) იცოდე, ძამია, თუ კი ამბავი არ მითხარი, ბლუზას რო შეგპირდი არ შევიკერავ!

თედორე. — ერთ ბლუზას-კი არა, ისეთ რამეს გეტყვი, ქეთო, ისეთ რამეს, რომ ათ ბლუზასაც-კი შემიკერავ. მარა ჯერე მოიცა, ერთი გაეშინჯო, როგორია შენი გაკეთებული მურაბა (ქამს). იფ, იფ, იფ, რა გემრიელია, რა გემრიელი! ახლა-კი გეტყვი, მხოლოთ ერთი პირობით! ყოველ დღე უნდა მაქამო ამისანა მურაბა.

გერმანე. — კი, მარა კბილები რო გავიფუქდეს, მაშინ?

თედორე. — ნუ გენაღვლებო; „მოკლას ხარი თივამა“!

ქეთო. — კი, ძამია, კი, ყოველ დღე იყოს, ოღონდ მითხარი ბარაღმაი, ნუ გადამაყოფე!

თედორე. — ჰო, ის უნდა გითხრა! ამ ახლო მომავალში ძალიან ქეფი მომელის ერთ ადგილას.

ქეთო. — (სიცილით) მერე, მე რაი, შენ ქეფი მოგელის?

თედორე. — ოო, საქმეც ის არი, რო ქეთის მიზეზი შენა ხარ და ქეფიც აქ იქნება! (ცალკე) საქმრო გამოგირჩიე, ქეთო, საქმრო, მარა ისეთი ბიჭია, ისეთი, რო ჩვენს სოფელში ქვით უკეთესი! (გერმანეს გასაგონებლათ) გერმანეს-კი ჯერ არ უთხრა, მისგან ცალკე მინდა სამახარობლო ავიღო.

გერმანე. — ჰე, მორჩი, მორჩი, თუ კაც ხარ, ნუ მიედ-მოედები!

ქეთო. — (თედორეს სიცილით) აგი იყო, მეტი აფერი? ვაი, რაეა დამღუპა! ამდენი მურაბა, რაეა დამღუპა?!

თედორე. — ერთი ამას უყურეთ! საქმრო გამოგირჩიე-მეთქინ და ეს-კი ერთ კოვზ მურაბას ნანობს! (სახლიდან მოისმის ნინოს ძახილი: ქეთო, ქეთო!)

ქეთო. — (სახლისკენ) მუალ, ნენა, მუალ! (თედორეს) ამდენ ხანს აღარ იცი, ძამია, რომ აღარ ვთხოვდები? (სახლისკენ გარბის).

თედორე. — (ქეთოსკენ) ვიცით, ვიცით, რაც ბძანდებით ახალგაზდა ქალები! (გერმანეს) ახლა-კი მზათა ვარ გისმინო, მხოლოთ მიფრთ-

ხილდი-კი, მწარე არაფელი მითხრა. ხო ხედავ, მურაბას ვკამ? (ქეთო სახლიდან გამობრძის, სიმონთან მოირბენს, წალდს გამოართმევს და სახლში შებრუნდება).

გერმანე.—აი, რა უნდა გითხრა: აპოს რო წერილი მივწერე და ადგილის შესახებ ვწერდი, შენ ქი იცი. ისიც იცი, რომ მე გადაწყვეტილი მაქვს სოფლიდან წასვლა. ამიტომ მინდა გთხოვო, როგორც შეგობარს, ყურათღება შეიქცეო ჩემ მოხუც დედ-მამას, რამდენათაც შეგეძლე-ბოდეს, თუ ვინცაა ჩემი საქმე ქალაქში ცუ-დათ წავიდა. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ, რო-გორ შეძლებს სოფლის დატოვება. მარა გარ-წმუნებ, რომ მეტი გზა არ არის: აქ ჩემი დარ-ჩენა ყოველთა შეუძლებელია. შენ კარგათ უნ-და იცოდე, თუ, რა მიძულეებს სოფლიდან წასვლას: ერთი ის, რომ ჩემ საზოგადოებრივ მისწრაფებებს აქ ფთები შეეკვეცა და ყოველი-ვე ჩემი მუშაობა უნაყოფოთ რჩება. ხო ხედავ, ამოდენა ჩვენი შრომა და ენერჯია სოფლათ ხორცს ვერ ისხამს? არა, არა, ასეთი მუშაობა მე მეტი აღარ შემიძლია! მეორეც ის—რო რა-იმე ღონე უნდა ვიღონო და ჩემსა და თამროს შორის დამოკიდებულებას სასურველი ბოლო მივცე. შენ კარგათ იცი ჩვენი დამოკიდებუ-ლება და მახე ლაპარაკი მეტია. მართალია, ეს უკანასკნელი გარემოება ჩემ კერძო პიროვნულ ცხოვრებიდან გამომდინარობს. მარა ის იმდენ-ნათ მნიშვნელოვანია ჩემი ცხოვრებისთვის, რომ მისი უყურათღებოთ დატოვება ჩემგან ყო-ველთა შეუძლებელია. იქ-კი, ქალაქში, საშვალე-ბა მექნება, როგორც პირველი, ისე მეორე სურვილთა თანახმათ ვიმუშაო და მათ გა-ხორციელებას ვეცადო. სულ სხვაა, ჩემო ძმაო, ქალაქი. შედარებით, ჩვენ გლახობასთან შეგ-ნებულ და გათვითცნობიერებულ მასსთან გაქვს საქმე. ამიტომაც, იქ საზოგადოებრივი მუშაობაც მეტ ნაყოფს იღებს დღეს, ვიდრე აქ. მართალია, აქაც საჭიროა მუშაობა, საჭი-როა, რომ ეს ბნელი ზეწარი, რომელიც გადა-ფარებია სოფელს, რაც შეიძლება, ადრე და მალე, გადაეფხრიწოს მას, რომ სოფლათ სი-ნათლის შუქი შეიჭრას. მარა, სინამ განსაკუთ-რებული პირობები შევობენ მახე, მანამ აქ შე-

საფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს საზოგადო-ბრივი მუშაობა. დიახ, ვერა! აი, ეს მიზეზებია, რომლებიც მიძულევენ ასე მოვიქცე.

თედორე.—მეტი არაფერი?

გერმანე.—ერთი სიტყვით, ჩემი სოფლი-დან წასვლა გადაწყვეტილია. მართალია, მივდი-ვარ იმ გზით, რომელიც მაშორებს დღეს სო-ფელს, ჩვენ გადალ-ტყავებულ გლახობას და მათ უნუგეშო და მუდამ გაქიერებულ ცხოვ-რებას. მარა ეს გზა ხომ იქით მიდის, იმ ქვეყ-ნისკენ, სადაც სინათლე მეფობს. დიახ, იქით! მე მწამს, რომ ის სინათლე ადრე, თუ გვიან, სოფელშიც შემოაშუქებს და თვის სხივებით დაძლევეს მახე გამეფებულ წყვილადს. და მა-შინ... მეც, მისი თაყვანისმცემელი გამოვეშუ-რები აქით, რომ აქ ვემსახურო და პატივიცე მას. (ცოტაპაუზა) ვინ იცის, შეიძლება, ვერც-კი ველიროსო ამ ბედნიერებას, ვინ იცის, შეიძლე-ბა, ვერც-კი დავბრუნდე უკან, შეიძლება, უკანასკნელათაც ვსუნთქავდე ამ წმინდა ჰაერს.. მარა სოფელს მაინც ვერაფერი დამაფიწყებს, ვერაფერი. და ასე ჩემი წასვლა აუცილებელია... მარა, სამაგიეროთ, შენ გტოვებ აქ, შენ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ერთგულათ გა-უწვევ სამსახურს ჩვენ გლახობას. გისურვებ, რომ შენი შრომა და მუშაობა გაათკეცებულიყოს საზოგადოებისთვის სასარგებლოთ. იცოდე, წე-რილებს შენს სახელზე მოვიწერები და შენც ჩქარ-ჩქარა გამაგებე ყოველივე წვრილმანი-კი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან. (თედორე მურაბას ქამს).

თედორე.—კი, მარა, ჯერ ეს მითხარი მართალს ამბობ, თუ ხუმრობ?

გერმანე.—რა დროს ხუმრობაა, კაცო? ის-კი არა დღე-დღეზე ველი აპოსგან პასუხს. ერთი კვირაა თამრომ წერილი მიიღო მისგან, რომელიც იწერება ჩემ შესახებ- ამ დღეებში მოვიწერებო.

თედორე.—ჰო, მაშინ-კი, მართლა რომ კარგი დრო ამოგირჩევია, ჩემო ძმაო! წორეთ ახლაა საჭირო შენი წასვლა თფილისში, თო-რე, შემდეგ, გვიან იქნება. იქ ხო შეშლილთა სამკურნალო ჰევრია და შენ, როგორც ცო-

ტა კუთხე შექანებული, საჭიროა ახლავე შე-  
უდგე წამლობას! (მურაბას ქამს).

გერმანე.—ეე, შენ კიდევ დაიწყე შენებუ-  
რათ! მე სერიოზულათ გელაპარაკები და შენ-  
კი ოხუნჯობ! რა არის აქ საოხუნჯო, ვერ გა-  
მიგია? შენ მდგომარეობაში, რო ვიყო, ჩემო  
ძმაო, შეიძლება არც მე მოვშორებოდი სო-  
ფელს; კაცი გეურნე, სოფლისთვის სასარგებ-  
ლო პირი. მასთან ასე, თუ ისე, ქონებრივათ  
უზრუნველ ყოფილი. რათ უნდა მოცილდესო-  
ფელს? სულ სხვაა ჩემი საქმე. ყველაფერს რო  
თავი დავანებო, გოჯასპირის სიკერპეს რალაც  
უნდა ვუქნა. დაუჩემებია, კაცო, თუ რაიმე  
ჯამაგირში არ ჩადგა და ოჯახი არ მიაკეთ-  
მოაკეთა, ქალს არ მივცემო. აბა, რა უნდა ვქნა  
ამ შემთხვევაში? აქ რა ადგილი უნდა ვიშო-  
ვო? ერთათ-ერთი სამსახური, რომელშიც შე-  
მეძლო ჩამდგარეიყავი, სოფლისმწერლის ადგი-  
ლი იყო; იმ ადგილში-კი მე არ ჩავდებოდი!

სიმონ.—(ქეთოს ეძახის) ქეთო, ცავ, ქე-  
თო! (ქეთო კარებში გამოჩნდება) წალდი, რო  
წაიღე, ცავ, რავა, მოტანა არ უნდოდა? მო-  
მიტანე ჩქარა, წიფელია მაქვს დასასხები! (ქე-  
თო წალდს მიურბენიებს სიმონს და უკან გაბ-  
რუნდება. სიმონ ბაღში შედის, მოისმის ხეზე  
კაკუნი).

თედორე.—მოკლეთ რო ვთქვათ, შენ ფიქ-  
რობ თფილისში წასვლას და იქ მოკალათებას?  
ძალიან კარგა! (ცოტა პაუზა) აი, რას გეტყვი,  
ჩემო ძმაო: თუ ხუმრობ, იხუმრე რამდენიც  
გინდა და, თუ გულით ამბობ, მართლაც ავათ  
ყოფილხარ და წამლობა გჭირია! ჰა, შენ ძა-  
ბუნოა, შენა! განა ასე მალე გაგიტყდა, ბიჭო,  
გული, დავეცი სულით და არ იცი, რა ქნა?  
სხვა რომ იყოს კიდემ ჰო, მიეტოვება. მარა  
შენ პირდაპირ დანაშაულათ ჩაგეთვლება ასე-  
თი ნაბიჯი. რა ვუყოთ, მერე, რო დღეს სოფ-  
ლათ კულტურულ საზოგადოებრივი მუშაობა  
ძნელ პირობებშია ჩაყენებული და ჩვენ მუშა-  
ობას ბევრი დაბრკოლებები ელობება წინ? სა-  
მაგიეროთ, ჩვენ გვწამს, რო დღეს, თუ ხვალ,  
სოფელიც გამოიღვიძებს და ამ დაბრკოლებებ-  
საც მოეღებათ ბოლო. აი, მალე, შეიძლება,  
ჩვენც გვეღირსოს ერობა და მაშინ ხო სოფ-

ლათ ინტელიგენტურ ძალებს ბევრი საქმეები  
გამოუჩნდებათ. მანამდის-კი ვიმუშაოთ და ვი-  
მუშაოთ. რაც შეეხება გოჯასპირის სიკერპეს,  
ეს არაფერია—როგორც იქნება, ვეცადოთ და  
მოვალბილებთ; თვარა და დიდი დღე მაინც  
არ დარჩენია; საიქიოს მისთვის უკვე ემზადე-  
ბიან. აი, ჩემი რჩევა და აწი შენ იცი.

გერმანე.—რჩევისთვის გმადლობთ. მარა  
სოფლათ ჩემი დარჩენა მეტი ყოვლათ შეუძ-  
ლებელია. (ცოტა პაუზა). აბა, ერთი მითხარ,  
რა უნდა ვაკეთო ახლა სოფლათ, რო დავრჩე?  
თითქმის არაფერი! ერთათ-ერთი საქმე, რომ-  
ლის გარშემო დღე და ღამ ვმუშაობდი და  
რომელზეც ამოდენა იმედებს ვამყარებდით, ეს  
ჩვენი კოოპერატივი იყო და ისიც დღეს სიკე-  
დილის პირათ დგას, რომლის გამობრუნების  
იმედი აღარა მაქვს. ესაა და ეს! და განა ჩემი  
კიდევ სოფლათ დარჩენა და მუშაობა ეს წყალ  
წაღებულის ხავსზე წაკიდება არ იქნება?

თედორე.—როგორც გენებოს, მხოლოთ  
ბოლოს-კი არ ინანო! სოფელი უთქვენათაც  
იცოცხლებს. თუ დღეს საზოგადოებრივ კულ-  
ტურულ მუშაობას ხელს უშლის ხალხის სიბნე-  
ლე, ხვალ ეს მუშაობა გაჩაღდება, რათგან ხალ-  
ხი უკვე დაადგა შეგნების და განათლების  
გზას. (გზახე გამოჩნდება თამრო).

გერმანე.—(თამროს დაინახავს) აბა, თამ-  
როც მოდის! მგონია, წერილიც მოაქვს. (თამ-  
როსკენ). წერილი ხომ არაა, თამრო,ა?

თამრო.—სამახარობლო, თუ იქნება, გეტ-  
ყვი!

გერმანე.—რატომაც არა, თუ სასიხარუ-  
ლო რამე დარჩება! (ქეთო მიუახლოვდება მათ,  
სალამს აძლევს და ვერმანეს წერილს გადა-  
ცემს) ოჰო, წერილი! აბა, ენახოთ, რა წერია  
(წერილს გახსნის და კითხულობს), ძმაო გერ-  
მანე, შენ წერილზე ვიჩქარი შეგატყობიო, რო  
ამ დღეებში აქ გამოვა ქართული მუშური გა-  
ზეთი, რომლის რედაქციის კანტორაში საჭი-  
როა გამგე. ჯამაგირი 30 მანათი და ბინა  
გირჩევ წამოხვიდე. შენი აპო... (სიხარულით)  
აბა, რას იტყვი, თედორე? ძალიანაა მე და  
ჩემი ღმერთმა! დღესვე მოეხაზირდები და ზეგ-  
კი ფხეკას მოვადენ თფილისში. რაც იქნება,



იქნება! Или пань, или пропаль...

თედორე:—ჰანის, რა მოგახსენო, ჩემო ძმაო და პრაპალი-კი შეიძლება!

თამრო. — (თედორეს) რათა, რათა თედორე? განა შენ არ უპირდები გერმანეს წასვლას?

თედორე. — კარგი იქნება, თუ შენც არ გაუპირდები.

გერმანე. — ამხე ლაპარაკი ახლა მეტია. საკითხი გადაწყვეტილია და მისი გადმოწყვეტა, შეუძლებელია.

თამრო. — მართლა გერმანე, დაფიქრდი კიდევ, შეიძლება, არ ღირდეს წასვლა?

გერმანე. — ნუ გენაღვლებო, ჩემო კარგო. აბა, რა უნდა მიშავდეს? როგორც-კი ცოტას მოვეწყობი, აპოს მოვაწერიებ მამაშენთან და შენც ჩამოხვალ ჩვენთან. მერე-კი ერთათ სიცოცხლე და ერთათ სიკვდილი! (ბალიდან მოისმის: უშველეთ, უშველეთ, ხიდან ჩამოვარდა! ყველანი ბაღში შერბიან, ნინო და ქეთოც სახლიდან გამორბიან და შერბიან ბაღში. ისმის კივილ-წივილი. გერმანეს, თედორე და ორ გლეხს გამოყავთ ცოცხალ-მკვდარი სიმონ და სახლში შეყავთ. სცენა ცოტა ხანს ცალიერია. გამორბის გერმანე და ერთი გლეხი)

გერმანე. — (გლეხს) აბა, მიშველე, თუ ძმა ხარ, მიშველე! ფერშალთან გაფრინდი, ფერშალთან! (გლეხი გარბის, გამოდის თამრო.)

თამრო. — (გერმანეს ტირილის ხმით) ღმერთო ჩემო, რა დაგვემართა აგი, რა დაგვემართა?!

გერმანე. — გენაცვალე, ნუ გეშინია, საიმი-სო, მგონი, არაფერი უშავს!

გერმანე. — ეხ, ჩემო კარგო, ხო ხედავ აღარაფერი შეგლის ჩემს საქმეს? ღმერთო ჩემო! ნეტა, მაინც რა დროს მეწია ეს უბედურება, რა დროს! აბა, თამრო, ახლავე მიწერე აპოს ყოველივე და თხოვე ჩემ მაგიერ, თუ შესაძლებელი დარჩეს, რამენაირათ ადგილი შემინახოს. (სახლიდან მოისმის ნინოს ძახილი! გერმანე შეიღო, გერმანე! გერმანე და თამრო სახლში შერბიან.)

სასდრო გურული.

(ფარდა.)

(შემდეგი იქნება.)

## სალამი.

ამოდი, ამოანათე,  
რათ იგვიანებ, თვარეო!  
დიდხანს ვინახე სათქმელი,  
ახლა ხომღოს დავაბარეო...  
სიტყვა სალამით სათქმელი,  
ცხოვრების ველზე ნაქროლვი;  
ამონაკენესი ტანჯულთა,  
ქურაზე გამონაწრთობი...  
შიგ ჩავაქსოვე სიამე  
და შხამი ქვეყნათ ნალესი;  
ჩაგრულთა წმიდა გძობები  
ნაწრთობი, ვითა ტალ-კვესი...  
ცრემლის გუბეში გაეავლე,  
ავაფერადე, - ავკინძე  
და წარუშლელათ შენამდი,  
გზათა და ხიდათ გავეკიდე.  
და ეს სალამი გადავეც  
ხომღოს მთის ნიათ დენასა;  
ჩემ საძმოთ შენთან მოძღვნილი,  
იძღვენი შენსა ღებენასა!..

ა. ხაბულიანი.

## ჩემი დღიურიდან.\*

ვის არ უნახავს და უგძენია ცრემლები იმედებისა და კეთილძრახვებისა. ვინ არ აქვითინებულა თვისი მოძმის გაჭირვებაზე და ფიცი დაუდღვია ეშველებია მისთვის... ვის არ აუვსებდა თვალებს ცრემლებით ნინოშვილის „სიმონა“ და ვინ არ აშფოთდებოდა დროიძის წინააღმდეგ... ასე იქედება. ახალგაზღვას აზროვნებაში პროტესტის სული და, თუ მას ცრემლები მოადგა, ეს არი ცრემლები ფიცის, ცრემლები ერთგულების და ბძოლის ჯინისა.

ერთხელ, მე ვნახე თავშეყრილი ურიცხვი ხალხი, რომელიც სულგანაბული უსმენდა ორატორს. მე მაშინ ბავში ვიყავი. მარა მაინც ვარკვევდი, რომ ორატორი ავრცელებდა კეთილ აზრებს, რათგანც ხალხი მას გულდასმით

\* იხ. „ცხოვრება“, № 14.

უსმენდა და პათ დანაოკებულ სახეზე ღიმილი გამოიხატებოდა. მე მხოლოდ მაშინ, მაშინ დავინახე თელი ქვეყნის ღიმილი, მე მხოლოდ მაშინ ვიგეძენი, თუ რა არის საერთო კოლექტიური სიხარული, საერთო კეთილდღეობა. მანამ მე მიყვარდა დილაობით მზის ამოსვლისთვის მიმესწრო და პირველი სხივების ისრები გულში ჩამეკრა, რათგანც ეს ღიმილს მეგვრიდა და მახარებდა... ახლა-კი ისეთი ღიმილი დავინახე, როცა მიდვრათ გაშლილ ხალხში გაისმოდა ორატორის ხმა და მას სულგანაბული უსმენდენ...

ნეტა, რათ იმოქმედა ამ სანახაობამ ჩემზე ასე ძლიერათ? ნეტა, რათ მომადგა ცრემლები და გული ამიჩვილდა? მე მხოლოდ ასეთი ცრემლები ვიცოდი და ის მიწვევდა ამ ზღვა ხალხში ასათქვეფათ, ის მიჩვენებდა გზას, რომელიც უნდა გამეგვლო და აქ მეგძნო მომავალი...

დღეს-კი მე ვგძნობ ცვლილებას. არ ვიცი, ჯერ დაიპყრო, თუ არა ამ ახალმა ძალამ ჩემი არსება, თუ ეს მხოლოდ წინასწარგძნობაა, მხოლოდ შიშია რაღაც ახალ მოლოდინის... არასოდეს, არასოდეს ასე აჩქარებით არ ცემდა ჩემი გული და არასოდეს, არასოდეს ასე არ გაგძელებულა წუთები. თან მე პირველათ მეხვევიან გარს ჩემი ხანმოკლე ცხოვრების ურიცხვი სურათები და, როგორც სინემატოგრაფის ეკრანზე, მეხატებიან.

ნეტა, მოვიდოდეს მალე ლენა, იქნებ, გაფანტოს თავმოყრილი სურათები მოგონებათა და დამშვიდდეს სული ჩემი, რომელსაც ამღვრევს ფიქრები და აშფოთებს შიში მომავალისა...

ვით ტკბილი ზღაპარი ახალგაზდა დედისა, საღამოს ნიავე მოეფინა არეს და მას თან დაყვა მანდილი შებინდების ფთების შრიალისა. არ ვიცი, ამ სასოწარკვეთის და მოწყენის ლანდს მოყვა ლენა თან, თუ ის შეუმჩნევლათ მოაბიჯებდა ბალის ხეივანში, მხოლოდ მე-კი მაშინ დავინახე, როცა წინ დამიდგა და ხელი გამიწოდა.

ბუნების ძილის პირი, რომელიც ღამის ფაფაში ეხვეოდა, ვით მთათა მწვერვალები

ღრუბელთა ლეჩაქში და, მეორე მხრით, ლენას ჩემ წინაშე აღმართული სახე, მე მაგონებდა ბაიკალის ტბის და მთების ორ სანახაობას. როცა ტბის ნაპირებს ნავით მიყვები და საქემომართული მეზღვაურები ტალღებს სერავენ, შენ წინაშე გარკვეულათ იხატებიან მთების მწვერვალები, ნაძენარებით და დაფურცლულ ტყეებით დაფენილი. ხოლო ტბას, თითქო ნისლი აკვრია და მას საღამოს შებინდება ლეჩაქივით ეხვევა. ლენა ასე გარკვევით იდგა ჩემ წინაშე, ხოლო ბუნება ძილის პარისთვის ემზადებოდა და ღამის წყვილიაღში დასასვენებლათ, ვითა საბანში, იფუთნებოდა.

ლენა, შეგნიერი ლენა! ის მოვიდა ჩემთან და შეასრულა თვისი სიტყვა. თან მოყვა საღამოს შებინდების ლანდს და მომლიმარ ტუჩებით მომიღერსა...

ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს ლენაა, ნუთუ მოვიდა აქ და ახლა მიწვევს სოფელში სამგზავროთ?

ჩემს არსებაში რაღაც ცვლილება ხდება. მე ამას ვგძნობ. მარა არ ვიცი, რა ძალაა ეს, რა შეარხია ნერვები და ამირია ფიქრები... ნუთუ მე სამუდამოთ ვეთხოვები ძველ ფიქრებს და ზრახვებს, ნუთუ ლენა იმისთვის მოვიდა, რომ მომტაცოს ყოველივე და მხოლოდ ერთი აზრით, ერთი ჯინით გატაცებული დარჩეს ჩემთან?!...

არა. მე არ მინდა ასეთი ბედნიერება. მე ძლიერ მიყვარს ჩემი წარსული და გული ჩემი შეზდილია იმ ღიმილთან, რომელიც მე პირველათ ვიხილე, როცა მოზღვავებული ხალხი უსმენდა ორატორს. მე მეტათ მიყვარს დედის აღერსი და, როცა მომავონდება მისი ყვავილებით დაფენილი ობოლი საფლაფი, ცრემლებათ ვდნები, მხოლოდ მანუგშებენ მის მიერ ბავშობისას ნაანდრეძევი ზრახვები და მეძმოლი გულის ცემა... არა. მე არ გავცვლი ამ შეგნიერ წარსულს ახალ ბედნიერებაზე, თუ-კი ამ ბედნიერებამ მოინდომა ჩემი ცხოვრების ძარღვის გაწყვეტა და ახალში გადასროლა. მე არ მინდა ავათყოფი ფიქრი, რათგანც ცრემლნარევი ფიქრი სიკაბუჯისა იყო ფიცი მომავალე ცხოვრებისა...

ლენა, ჩემო ლენა! ნუ თუ ამ მომღიმარ ტუჩების იქით იმალება შენი ბოროტი აზრები კაცთმოძულეების ხასიათი?.. არა, მე ამას არ დავიჯერებ... მე ამას აზრათაც არ გავივლებ. მარა, ნეტა, რათ გძნობს გული ახალ, უცხო ძალას? ნეტა, რათ მიახლოვდება ახალი ფიქრები და მეჩვენება, თითქო მტაცებენ ჭველ, ჩემს საყვარელ და სიყრმის ცხოვრებას...

გზა ჯვარდინი ღრღნის ჩემ გულს. ორ აზრში იხივება ახალგაზღვრი სული, ორი ღმერთი ებძვის ერთმანეთს და ორივე ცთილობს დასეროს გული ჩემი, რათგანც ჯერ არც ერთს იმედი არ აქვს, სამუდამოთ დავრჩები მას, თუ არა...

სული მეხუთება მე და გული მიწუხს მე... თელი ჩემი ხანმოკლე ცხოვრების სურათები მეხვევა მე და ახალი ძალა, უცხო გამოუცნობი ძალა ებძვის ამ ჭველსა და ჩემს საყვარელ და ნაცნობ სურათებს... ნეტა, რათ ვიტანჯები ასე ძლიერათ, მეგობარო, რათ? ნეტა, რათ არი გამართული ეს ბძოლა, რათ?.. ნეტა, თუ შეიძლება მოთავსდეს ერთ არსებაში ეს ორი მოპირდაპირე და დამტანჯავი სულეები, ნეტა, თუ ვიხილავ ერთ სურათს ჩემ ცხოვრებისას, სადაც ახალი და ძველი, ჩემი საყვარელი ძრახვები ხელიხელ ჩაკიდებული იქნებიან და აღარ დაუწყებენ სერას ჩემ გულს, აღარ შეაშფოთებენ წყევლით ჩემ სულს?..

მე და ლენა მივიდოდით სოფლის გზით... ღამის წყვდიადი ეფინებოდა არე-მარეს, ვითა ლეჩაქი და ნისლი ეკვრებოდა ბაღნარებით დაფენილ მიდამოებს. ცხოვრების მაჯისცემა დასასვენებლათ ემზადებოდა. სოფელი ძილის პირს ეძღვოდა, მკვდრული სიჩუმე მეფდებოდა თვლემარე სოფელში.

მე და ლენა-კი მივიდოდით სოფლის გზით.

„ვლიკო“.

(შემდეგი იქნება.)

## კრიტიკა.

### ეკატერინე ვაბაშვილისა.\*)

VII

(დასასრული.)

გულდასმით გადავიკითხე თხზულებანი ეკ. ვაბაშვილისა და დავრწმუნდი, რომ ეს გულწრფელი და მეტათ გძნობიერი მწერალი მ. ნ. დილოსანი ორ საგანს ემსახურება: სიყვარულს და სოფლის გლეხ-კაცობას.

თვალი გადავავლოთ მის პატარა ნაწერებსაც, რომელსაც „ლექსი პროზათ“ ეწოდება, სადაც დაინახავთ, თუ რა მალალ პოეტურ, ალტაცებულ ჰიმნს უვალობს ავტორი სიყვარულს.

„რიკრაჟია. მზის ბწყინვალე სხივებს ოდნავ ამოუყვითათ თავები შორეულ მთების ზოლიდან და ალისფერი პირ-ბადე გადაუფარებიანთ არე-მარესთვის. პირ ბადის ქვეშიდან, უმანკო პატარძლივით, მკრთალად გამოქვივის ტურფა სურათი გაზაფხულისა და კაცის გულს სიტკბოებით და სინაზით ავსებს, გონებას აოცნებებს, სიკოცხლეს ასულდგმულებს. დილის ნიავექარი ოდნავ არხევს სურნელოვანებით შეზავებულ ჰერს და ხის ფოთოლნი ამ რხევაზე ჰარმონიულათ ბიბინ-შრიალებენ, ანკარა ჩახრიალა ღულუნ-ჩუხჩუხებს და მის გარშემო ატეხილ ვარდნარზე ბულბული უშტვენს დაბლა, განაბული ხმით, თითქოს ეშინია, რომ ბუნების შევნიერი გამოღვიძება მეტი ხმაურობით არ დაარღვიოს... აი, შორიდან მოისმა წყნარი, გულსაკლავი, მკენესარი სალამური!..

აივანზე დგას გადაყუდებული თექვისმეტი წლის განო და გადაყურებს ამ თავისავით უმანკო, შევნიერ სურათს; მის თეთრ კისეის სუბუქ კაბას დილის ნიავე არხევს. ფურცელოვით, მის პირისახეს, მზის მკრთალი სხივი აელვარებს, ნათელს აფრქვევს, მზისავე სხივებით განათებული წაბლის ფერი თმა ოქროს რკალივით გარს შემორტყმია იმის კეკლუცს თავს: წყნარი, სანეტარო ტკბილი ღიმილი ოდნავ უპობს ვარდის ფერ ბაგეს პატარა განოს.

\* ) იხ. „ცხოვრება“, № 15.

რას გაუღვიძებია ასე ადრე ეს ტურფა ბა-  
ლლი? ვის უღიმის ამისი ბაგე? რას ჩაუფიქრე-  
ბია ამისი ნაზი ყუყუნა თვალები? რათა გძნო  
ბს მარტო დღეს ასე სავსებით ამ ბუნების შევ-  
ნიერებას? რათ არის ასე გაორკეცებული ამისი  
ყნოსვა ვარდის შესახებ, რათ ეუბნება იმისი  
პატარა გული ასე კარგათ ბანს ბულბულის  
სტვენას, წყაროს ჩხრიალს, ნიავის თრთოლვას?

მაისის ბწყინვალე მზემ, მისმა ძალოვანმა  
თფილმა სხივმა, ჭანოს გულის სიღრმემდისაც  
მიალწია, ჩანათა, გააზბო და იქ აალორძინა,  
დააკოკრა და ააყვავა ის ტკბილი, უკვდავი სამოთ-  
ხის ვარდი, რომელსაც სიყვარულს, ნეტარებას  
ეძახიან.

განოს უყვარს, განო ეტრფის. წუხელ  
თვარის შუქზე, ამ მიჯნურობის აუცილებელ  
მოწმის შუქზე, განომ პირველათ ივძნო, რომ  
მისი გული თანაუგძნოღს იმის გულს, რომ იმის  
სული იმის სულს თავს დატრიალებს და მისი  
გონება ამაზე კარგს ვერასა პოვებს“ (გვ. 232).

კარგათ, დიდი ლაზათით აღწერს ავტორი  
სოფელში გაზაფხულს, სადაც უმანკო განოს  
გულში სიყვარულის პირველი ნიქი „აყვავებუ-  
ლა და დაკოკრებულა“, რომელიც სავსებითა  
გძნობს ბუნების შევნიერებას და ბულბულის  
სტვენას ბანს აძლევს“.

აბა, დააკვირდით ამ სურათს, რა კობტა,  
ჩინებული აღწერილობა მოგვცა ავტორმა ჩვე-  
ნი საყვარელი ქართლის ბუნებისა: „რიჭრაჟი  
არი, ნისლით შებურვილ მთის წვერზე ვდგავარ.  
გული დაწყნარებით ცემს, გარემოცული ჰაერი  
ფილტვებს ალაღებს, აფართოებს, სისხლს აღე-  
ღვებს და აჩუხჩუხებს. ნისლში ოდნავ ჩანს ცა  
და ქვეყანა... მარა, აგერ, პირდაპირ ბუმბერაზ  
მთისკენ ცა შეიღება, მკრთალ ვარდის ფერათ  
შეიმოსა, და გარემოცულ ბუნებას რაღაც მოძი-  
ბლავი, საიდუმლოებით სავსე ელფერი მიცა.  
ნისლი გაფანტა სინათლემ და ჩემ თვალწინ  
გადიშალენ თვალუწვდენელი მიდორნი, ვე-  
ლნი, ტყენი, მდინარენი, კლდიდან კლდეზედა  
მბტუნავნი... ირგვლივ მორტყმულ მთის კალ-  
თებს ამკობენ ზურმუხტოვანნი ვენახნი, ბაღნი,  
ქანდარნი, რომელთა შორის აქა-იქ მოჩანს,

როგორც ყვავილნი მდელოსი, ხალხის ნაგებნი  
სადგურნი (თუ სადგომნი?).

სრული ღუმილია ჩემ გარშაშაო. არ იძე-  
რის სიო, არ იძვრის მკერდი ადამიანისა, მხო-  
ლოთ ბუნებას შევნიერს, მდიდარს, ტურფათ  
მოკაზმულს ვუმზერ და ვუმზერ. თლად გამიჭა-  
ცა სურათმა ვრცელმა, დიადმა, აღარ მაქვს  
ლონე თვალი ვაშორო შევნიერს მხარეს, კაც-  
თა სამფლობლათ და სასიხარულოთ უფლისგან  
გაჩენილს.

მაღე მზემაც ამოაშუქა და თვისი ბწყინ-  
ვალე შუქით ნათელი მოსდო, გამოაღვიძა ეს  
არე-მარე: ფრინველნი ტყისა, ქალისა, იალო-  
ნთა გუნდი, ბულბულნი, შაშენი, შავარდენნი,  
თითქოს ამ სინათლეს ელოდენ, რომ ხმა მიეცათ  
ურთი-ერთს, თვისი სტვენით ქება შეესხათ  
შემოქმედისთვის...

ვდგავარ და ვტკბები; ვტკბები და ვდგავარ  
ამ დიდების, შევნიერების, განუწვდენელი უფ-  
ლის ქმნილების სამოთხის წინა. თვალნი ჩემნი  
არ იღლებიან, გონება ჩემი კმაყოფილია, სული  
ჩემი აღტაცებულია... მხოლოთ გული—კი  
რაღაცას ელის, ელის და ელის. რას ელის?  
რათ ცალიერობს გული წყეული, როდესაც  
თვალი, სული, გონება კმაყოფილია? რა აკლია  
სრულსა სამოთხეს ამასა?—შენ, შენ სატრფოვ  
გულისაო, შენ გვირგვინო ყოვლის ნეტარები-  
სავ, დიდების, სიმდიდრის, სიშვენიერისას, შენ,  
საყვარლო, ტკბილო, უებროვ კაცთ სურვილთა  
შორის.

შენ გეძიებს გული საჰყარი ყველგან, სა-  
დაც—კი სიცოცხლე სუფევს, სადაც—კი მეფ-  
ობს შევნიერება და, აი, ბოლოს, იქ შორს,  
შორს სადღაც, ნათელი შუქით გარს შემორ-  
ტყმული, მთის კალთებზე, ზურმუხტთა შორის,  
შენ მე მიხილე და მხოლოთ მაშინ და უნაკ-  
ლულოთ ვცან ნეტარება, ბედნიერება და სი  
ხარული

მუხლთ მოვიდრიკე, ხელს გეამბორე და  
მხოლოთ მაშინ ვცან სამოთხე, ზეცამდის ამა-  
ღლებული“. (გვ. 380).

ადამიანის უსაზღვრო გაუტანლობით და  
დიდი საზიზღროებით, ამასთანვე საზოგადოე-  
ბის, სოფლის უსამართლობით მწარეთ გულმ-

ოკლული ჩვენი რომანტიკოსის გამოუცთელი გმირები სიკვდილში, „საზარელ, მარა ნამდვილ და საუკუნო განსასვენებელს“ პოვებენ. პავლე მაროს საუკუნო შეერთებას სიკვდილის შემწეობით აპირებს. „თუ აქ არა, იქ ხო შევეყრებით ერთმანეთსო“ (რომანი დიდ ხევაში“). კონამაც სიკვდილში პოვა გათავისუფლება. ქუჩეც თავის შვილს მიწაზე დაანარცხებს, რათგან მის ხსნას სიკვდილში ეძიებს. შაქროც აგრეთვე სიკვდილს მიმართავს, რათგან „უნამუსო სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს“. სიკვდილის შემწეობით, უბედური თინათვის ობლებს ლუკმას გაუჩენს. კახეთს წასული მასწავლებელი, ლამაზი ლიზაც, რომელმაც თვისი ქალწულობა ასე უგანაჩენოთ დადუპა, თფილისს მოღია და მტკვრის ზვირთებში პოულობს საუკუნო განსვენებას. „სიკვდილი, მხოლოთ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლომე ცოცხლებს საშინელ სურათს და გაახსენებს სოფლის ამოაებას“ (გვ. 493).

როგორც ხედავთ, ბუნების და ადამიანთა საზოგადოების ამგვართ დაპირდაპირებაში ჟან-ჟაკ-რუსოს რომანტიზმია გატარებული...

დადათ პატივცემულ მწერალ მანდილოსანს ენა, საერთოდ, შვენიერი აქვს. ცოცხალი, საბუქი და საკმაოთ მდიდარი იმისი ენა წმინდა ანკრა მთის წყაროს წყალივით მოჩუხჩუხება. მკითხველს უფრო ეს ლამაზი ქართული ენა იზიდავს თვისი კახტა გამოთქმით და აყვარებს ავტორს დიდი სიყვარულით. თუმცა ზოგიერთი უხერხული და უკანონო სიტყვების ხმარება, როგორც მაგალითად, ვჩადივარ, ჩავდივარის მაგივრათ, ამშვენებს, აშვენების მაგივრათ, სადგური (Станция), სადგომის მაგიერ და სხვ. უნდა ავნიშნო. მართალია, ეკ. გაბაშვილის ნაწერებს ახასიათებს ენის უბრალოება, სიადვილე და სიმდიდრეც ქართული ენისა, მარა დიდათ დამუშავებულ მხატვრულ სალიტერატურო ენათ მაინც ვერ ჩავთვლი მის ცოცხალ, მხიარულ ენას...

სამწუხაროთ, ქართული სალიტერატურო კრიტიკა მაინც-და-მაინც ყურათღებასაც არ აქცევს მხატვრული ენის დიდ საჭიროებას, და

ეს გარემოება გამოწვეულია, ალბათ, ან მხატვრული ენის უქონლობით, ან საზოგადოთ, ქართული ენის უცოდინრობით...

## VIII.

ამ ჩემი სტატიის დასაწყისშივე მოგახსენეთ, რომ ეკ. გაბაშვილისა გასული საუკუნის 80-იან წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და სოფლის მშრომელ მესაკუთრეთა დიდი მოტრფილეთა-მეთქი. ეს ერთი უდიდესი საგანია მისი მოღვაწობისა.

იმ დროს ქართული ახალი ლიტერატურა გაიტაცა რუსეთის ინტელიგენციის და ლიტერატურის მიმართულებამ, რომელიც სულ ერთიანასოფლელების, გლეხთა მდგომარეობით იყო ჩაყლაპული. დიდი მოღვაწის და პატიოსანი ინტელიგენტის, თუ ლიტერატორის სახელს ის ატარებდა, ვინც სოფლათ მიდიოდა, გლეხების ჭირსა და ღზინს შვაზე იყოფდა, აკვირდებოდა და სწავლობდა გლეხთა ცხოვრებას და დიდი სიყვარულით ეკიდებოდა გლეხთა ცხოვრების გუმჯობესობას, მაღლა აწევას...

რასაკვირველია, იქ ამაზეც არ შეჩერებულან და გატაცება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ამბობდენ, დიდი ვარემოება, გარეშე ძალი ხელს არ უშლიდესო, გლეხი პირდაპირ სოფლათ გაახორცილებს უმაღლესი ფორმების იდეალებს, ბედნიერს არკადიასო...

რუსეთის ლიტერატურამ სწორეთ ისე, როგორც საფრანგეთშიაც და გერმანიაშიაც იყო ასეთი ამბავი ერთ დროს, დაიწყო გლეხკაცის ცხოვრების, მისი სულიერი ვითარების ყოველმხრივი გამოკვლევაც. გლეხი შეიქნა არათუ სტუმარი, ერთი უაღრესი, უდიდესი საგანი, პირდაპირ კერპი, რომლის წინაშე მუხლს იღრეკდენ, სხვერპლებს წირავდენ და გაციფრებით შეცქეროდენ ნიჭიერი მწერალნი, ლიტერატორნი და პრაფესორნიც.

რუსეთის ერობები დიდი გულმოდგინებით აგროვებდენ სტატისტიკურ ცნობებს თავიანთ რაიონებში, გლეხების ცხოვრების სხვა დასხვა ამბების შესაკრებათ ადგენდენ და ბეჭდავდენ პროგრამებს, სწავლულები და ასაკში მოსული მოსწავლე ახალგაზღობა ათასობით მოედდა

დაბა-სოფლებს პროვინციებში და დაიწყეს ახალი მოძღვრების გაცეცხობით ქადაგება, პრაპაგანდა.

აი, ამ მიმართულებას ეწოდებოდა რუსეთში „ნაროდნიკობა“, რომელიც სულერთიანა დაეუფლა მოწინავე რუსის გძნობა-გონებას... „ნაროდნიკობა“, რომელიც აცდა ნ. დობროლიუბოვის მართალს აზრს ხალხზე, როგორც საკულტურო გასაფრთხილებელ მასალაზე, პირდაპირ დაუბრუნდა სლავიანოფილების ცრუ-შეხედულობას და რუსის ხალხს მიუჩინა სრულიათ რაღაც გასხვავებული, „თვით-მყოფი“ როლი ისტორიაში. „რუსეთის ბელეტრისტიკის მაღალ სალონებში“ გამეფდა რუსის „მუჟიკი...“ ამ გამეფებას რუსეთშიაც და ჩვენშიაც თვისი დიდი ისტორია აქვს...

სულ წინაპირველათ ყველგან, ყოველ ხალხში, როცა აზრი ცოტათი მინც გამოფხიზლებულა საზოგადოების მწიგნობარ წრეებში, მწერლობა სოფლის მდაბიო ხალხს უყურებდა, როგორც ყოველათ უცოდველს ანგელოზებს, რომელნიც სრულს იდილიურს ურთიერთს განწყობილებაში ცხოვრობდნ და დიდი მოწიწებით ემორჩილებიან თვის უფროსებს და მთავრობას. ამ ხალხის იდეალები და სურვილები ძლიერ მოწონდათ და ერთ წმიდა რამეთ მიაჩნდათ მწერლებს.

მართალია, დიდსა და მდიდარს აზრისტოკრატიას, ხალხონობისა და „ეროვნობის“ აფიციალურ წარმომადგენლებს ძულდათ და არ უყვარდათ ეს საშინლათ მოუხეშავი, მწარე ოფლით აშშორებული სოფლის მუშა ხალხი. მარა ამ აუტანელ ყმობაში საუკუნოებით ჩავარდნილი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობის იდეა თან-და თან, ნელ-ნელა, ფეხს იკიდებდა და მაგრდებოდა მწერლობაში და იპყრობდა მკითხველების ყურათღებას. ნუღარ მოვიხსენებთ იმას, რაც იყო წინათ რუსეთსა და ჩვენში. მოვიგონოთ ი. ს. ტურგენევი, გრიგოროვიჩი, პისემსკი და სხვებიც რუსეთში, პონკაძე, ილია ჭავჭავაძე და სხ. ჩვენში, რომ ელნიც ექომაგებოდნ და უთითებდნ ყმობაში ჩაცვიფრულ გაუბედურებულ ხალხის პირადობაზე.

ეს იყო მწერლობა ამ ხალხის დაცვისა, წაქომაგებისა და არა მისი შესწავლისა და საფუძვლიანათ გაცნობისა. ეს მწერლობა ამბობდა, რო ყმაც ადამიანიო, ადამიანი ორიგინალური და თვითმყოფი. მარა მას არ უნდოდა ცოდნოდა და არც ლაპარაკობდა, თუ რა ზნეობის და ხასიათის იყო იგი, რა სულის განწყობილობის, ყოფაქცევის იყო ეს ხალხი. ერთი მაშინდელი რუსის კრიტიკოსისა ირ იყვეს, იმ დროის მწერლობა მხატრულათ როდი ხატავდა ხალხის სინამდვილის მეტ-ნაკლებობას, პირდაპირ ადვოკატი, დამცველი იყო ამ ყოველათ უბედური ხალხისა...

გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა, ყმების გათავისუფლების შემდეგ, ძალზე მოითხოვა უფრო ახლოს გაცნობოდა მწერლობა ამ ხალხს, მოითხოვა, ასეწოდებული, „შიშველი ქეშმარიტება“ და მას აქით რუსეთში და რუსეთის წაბაძვით, ჩვენშიაც თელი მწერლობა შეუდგა ამ „ქეშმარიტების“ ძიებას, შესწავლას და გამოხატვას...

ტიპიური გამოხატველი და დამწყებიც ამ საქმისა რუსულ ბელეტრისტიკაში იყო ნიკოლოზ უსპენსკი, კაცი, მართლაც, ნიჭიერი. მარა იგი მალე ლოთობამ ჩაითრია. და სრულიათ დაიღუპა მწერლობისთვის. უნდა დავასახელო სლებცოვი და ლევიტოვი, რომელმაც უფრო ქალაქის პროლეტარიატი აწერა. უნდა დავასახელო, რა თქმა უნდა, რეშტენიკოვი, რომელიც, ჩემი ფიქრით, ძალიან შესანიშნავი მწერალი იყო რუსეთში, რომლის კვალს ფხიზელი „ნაროდნიკი“ ბელეტრისტიკებიც ვერ გაყვენ, ისეთი უარყოფილი შეხედულებისა იყო ეს მწერალი რუსის „მუჟიკზე“. რეშტენიკოვის სალიტერატურო ნაწარმოებნი ძალიან საინტერესო ხასიათის ნაწერებია და საკვირველია, რუსული სალიტერატურო კრიტიკა მას ყურათღებას არ აქცევს სრულებით.

შემდეგ, სალიტერატურო ასპარეზზე გამოდის გლებ უსპენსკი, რომელიც რუსის გლებს ეკიდება და სწავლობს ცნობერის კრიტიკით, სერიოზულათ და ნიჭიერათ ხატავს, ახასიათებს ამ ხალხს. გლ. უსპენსკიმ დაინახა რუსეთის ხალხში ძალიან ბნელი და დამლუბველი ზნე ჩვეულება, ისეთი ინსტიტუტები, რომელნიც, საუკუნეთა განმავლობაში, გამწარებულ მონო-

ბის უღელს შეემუშავებია ამ უბედური ხალხის ძვალსა და რბილში. რა თქმა უნდა, ეს ინსტინქტები ასე უცფათაც, მეორე დღეს არ დაავიწყდებოდა ამ ხალხს და მისი ძირითადი გარდაქმნისთვის საჭირო იყო, თუ ისევ საუკუნოები არა, დიდათ დიდი დრო ხო მაინც. და გლებიც ეძებდა გზებს, რომ ინტელიგენცია დაახლოვებოდა ამ ხალხს, და ამ უკანასკნელმა საქმემ გადიუოლია იგი და დაღუპა კიდევ...

მეორე „ნაროდნიკი“ ბელეტრისტი, გლ. უსპენსკივით ნიკიერი, ნ. ზლატოვრაცკი, გლებ უსპენსკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა თითქმის. იგი უკავშირებდა გასული საუკუნის ორმოციანთა ლიტერატურას თავის დროის მწერლობას და რუსის ხალხში ეძიებდა უფრო კარგსა და შვენიერს, დიდათ სიმპატიურ მხარეებს და, განსაკუთრებით, მათზე ჩერდებოდა, იმათ უსობდა ხაზს, მათ აღწერას უწვრილმანდებოდა.

სიმართლეს მაინც ვერ ვუღალატებ და უნდა პირდაპირ ვთქვა აქ, რომ მხატვრულ ლიტერატურას არაფერი არ შეუძენია ამ რუსულ „ნაროდნიკულ“ ბელეტრისტიკიდან და მხოლოდ მოდამ, რომელიც ძლიერათ გამეფდა ლიტერატურაში, ჩაითრია ყველა მაშინდელი ნიკიერი და ცოცხალი თაობა.

სამოციან წლებში საქართველოშიაც მოხდა უღიადესი რეფორმა—ყმების გათავისუფლება. ამ რეფორმამ ღრმა კვალი გაავლო ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის. მარა ეს გათავისუფლება არ იყო სრული. ჩვენებურ ნაშინაყმარს მიწა არ დაუტოვეს. ამასთანვე მოქალაქობრივი უფლებაც არ მიანიჭეს. ფაქტიურათ ნაშინაყმარი, თუმცა ემობისგან მისი პარადობა გათავისუფლეს, მარა ეკანომიურათ მისი მდგომარეობა უფრო აუტანელი შეიქნა... ამასთანვე ქართველ გლებს სოფლათ არ მიანიჭეს არც ერობა, არც ნაფიც მსაჯულთა სამართალი, არც ნამდვილი, ხალხისთვის სასარგებლო ცოდნა, ეროვნული სკოლა, თანამედროვე მკურნალობასა და რაციონალურ აგრონომიაზე ხო ტყუილაც არავის უფიქრია.

ამიტომაც საქართველოში, თუმცა რუსეთის წაბადვით, დაიბადა ჩემ მიერ წოდებული, „ტეტიათა მოტრფილეთა“ გუნდი, მარა მას დიდი, თვალსაჩინო ხალხისთვის არაფერი გაუკეთებია, არც ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში, არც მწერლობაში. ჩვენ წამლათაც არ გვყო-

ლია ისეთი მომზადებული პირნი, რომელნიც ჩვენი გლეხობის ცხოვრებას ღრმათ გაცნობოდენ, გამოეკვლიათ და ჩვენი მდაბიო ხალხის სულიერი და ნივთიერი ყოფნა, გაეთვალისწინებიათ.

მართალია, გაჩნდნ ჩვენშიაც, უფრო... ქართლში, მოთხრობების მწერალნი, რომლებიც მეტათ ზერეღეთ და ძალიან ცოტათითაც სწავლობენ ხალხის ცხოვრებას, მეტათ ზარმაცათ, გარეგნულათ ეკიდებოდენ საგანს. ისინი-სხვადასხვა მიზეზებისა გამო, გულდასმით. დიდის ენერგიით და ცხოველმყოფელობით, ღრმათ ვერ ეკიდებოდენ თავიანთ საქმეს და, ამიტომაც, იმათ ბელეტრისტულ ნაწერებს ამჩნევია დაუმუშავებლობა, სისუსტე ლიტერატურული მხატვრული ნიჭისა.

აი, ამ კატელორიის მწერლებია ჩვენში კარგათ ცნობილნი ნ. ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი და ეკატერინე გაბაშვილისა, რომელთა ნაწერებში ნათლად იხატება იმათი მიმართულება.

ხომელელი.

**„საბარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია“ გერმანიაში.**

თანამედროვე ომმა გერმანიის ფართე საზოგადოება დიდათ გამოაფხიზლა. თავი იჩინა სიძვირემ, მზადდებოდა სპეკულიაციისთვის ღრმა ნიადაგი. გერმანიის ხალხმა შეძლო მისი ძირშივე ჩაკეცა. მუშათა კლასის შრომის პირობები გაუარესებით იმუქრებოდა. გერმანიის დემოკრატიამ მაშინვე შეძლო ამ პირობების დაძლევა და უკეთესის მოპოვება შრომის ბირებების გამრავლებით, პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანიზაციების გამტკიცებით. გერმანიას საშინელი დამშვევა მოელოდა, შიმშილის აჩლილი თავს დატრიალებდა და გერმანიის დემოკრატიამ შეძლო მის საწინაღმდეგოთ უებარი საშვალების გამოჩახვა. შემოიღეს პურის, ხორცეულობის, კარტოფილის და სხვათა მონაპოლია. ომის ბოლო გერმანიას აუარებელ ინვალიდებს პირდებდა. დემოკრატიას ეს კარგს არაფერს უქადის. მუქთად სარჩენი ხალხის რიცხვი ბლომათ იზდება. ეს დიდი საჭირობოროტო საკითხია. გერმანიაში ახლავე შეუდგენამაზე მზადებას. „მაგნიტის ხელი“ გამოიგონეს და მის დასამზადებლათ ქარხნებსაც აშენებენ. ამით გერმანიაში ინვალიდობას სპობენ. გერმანიის დემოკრატია დღეს აღარ ხუმრობს. ბევ-

რი შეძლო მან, ვერ შეძლო მხოლოდ ომის შეჩერება, სისხლის ღვრის აცდენა. მარა მისი საჩქაროთ დაბოლოვება გერმანიაში მორიგ საკითხათა დასმული. შეიძლება, გერმანიის დემოკრატიამ ესეც შეძლოს ახლო ხანებში. ლიბკნეხტ — როზა ლუქსემბურგ-მერინგის ოპოზიციის გაჩენა უმნიშვნელო მოვლინება-კი არაა. ეს დიდი ფაქტორია. ოპოზიცია დიდ მზადებაშია. ის თანდათან იზრდება. მეტს ძალას იკრეფს. გერმანიის ფართე დემოკრატიული კლასი დღეს უფრო მარცხნივ იხრება. მომენტი კმაყოფილი არეინაა. ომის დასასრული ახლოს უნდა იყოს გერმანიისთვის. ამას ამოწმობს „საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია“. აქ იგულისხმება ფართე საზოგადოების დაინტერესება საგარეო პოლიტიკით კოცხალი, შეგნებული დამოკიდებულება ამ საკითხთან, მონაწილობის მიღება თვით საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. ომმა, მართლაც, გერმანიის ხალხი დიდად დაინტერესა საგარეო პოლიტიკით. თითოულმა დიასახლისმაც — კი იცის ამის ფასი. მან უკვე იცის, თუ რა როლს თამაშობს ის შინაურ პოლიტიკაში, თუ რა დამოკიდებულება აქვს საგარეო პოლიტიკას თვით ოჯახობრივ საქმეებზეც. მას ამის გასაგებათ სულ იოლი საშვალეა ავეს.

საგარეო პოლიტიკის ღირებულებას ის ზომავს იმითი, თუ რამდენი კართოფილი და ყავა აქვს მას თავის სამზარეულოში. რაოდენობა ამ სანოვავის გერმანელ დიასახლისს აშკარათ უთითებს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობაზე. დღემდე საგარეო პოლიტიკა საიდუმლო დიპლომატიის საიდუმლო ხელობას შეადგენდა. დღეს მას საიდუმლოების ნიღაბი აებადა და თელი ხალხისთვის ის საჭირობოროტო, სადღეისო საკითხათ გადაიქცა. ის ზეციდან ქვევით, მიწაზე ჩამოვიდა. ხალხმა მით დაინტერესდა. მას არ სურს, რომ ხალხის ბედი უნდა დიპლომატიური გზებით წყდებოდეს. თვითვე უნდა იყო თავის ბატონ-პატრონი. ეს შეხედულობა გერმანელ ხალხს დღეს ძვალ-რბილში გაუჯდა. ხალხის აზრმა, შეხედულებამ სახალხო წარმომადგენლობაშიაც იპოვა გამოძახილი.

რეისტაგი სახალხო დაწესებულებაა. ხალხივით იგიც მოკლებული იყო ომის საკითხში უფლებებს. საგარეო პოლიტიკის წარმოებაში რეისტაგს ხმა არა ქონდა. ეს მის კომპეტენციაში არ შედის. კანკლერი, სამინისტრო არაა პასუხმგებელი რეისტაგის წინაშე, მმართველი წრები, ხელმძღვანელი დიპლომა-

ტია, ისე ატრიალებენ საგარეო საქმეს, როგორც თითონ სურთ. რეისტაგს, საზოგადოებას ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევენ. გერმანიის ელჩები საკუთრად მართავენ მოლაპარაკებას გარეშე სახელმწიფოთა სასახლეებთან, ადგენენ ხელშეკრულებას და აკეთებენ ყოველივეს. რეისტაგს, ხალხს ამაზე არას ეკითხებიან, არას ეუბნებიან, სანამ საქმე მოქმედებამდე, ომამდე არ მივა. დაიწყო ომი და მთავრობა აქვეყნებს „თეთრ წიგნს“. ამ წიგნში მხოლოდ უმნიშვნელო წინასწარი მოლაპარაკების მასალებია მოთავსებული. ღირსეული, მნიშვნელოვანი და მთავარი საბუთები-კი დამალულია. მთავრობა სრულიათ უკანტროლოა. მთავრობისა და მისი უაღრესი უფლებებით აღჭურვილი მოხელეების ასეთმა მოქმედებამ მოგვცა თანამედროვე საშინელი სისხლის ღვრა. ფართე საზოგადოების უუფლებობამ მოგვცა თანამედროვე უმაგალითო ომი. ხალხს არ ქონდა წინათ გათვალისწინებული საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა. ამით არც იყო დაინტერესებული. მის თავის სასარგებლოთ გამოსაყენებლათ ხალხს თავი არ გამოუღვია. დღეს — კი ამ ომმა აშკარათ დაანახვა ყველას ამ პოლიტიკის დიდი მნიშვნელობა. ომში ჩემი სისხლი იღვრება, მაშასადამე, მისი დაწყება-დაბოლოვება მე უნდა მეკითხებოდესო. აი, რას ამბობს დღეს გერმანიის ხალხი. ომმა დიდი გამოკითხება შემატა გერმანიის დემოკრატიას. საგარეო პოლიტიკა დემოკრატიის კანტროლ ქვეშ უნდა ტარდებოდეს — აი, რა ლოზუნგი მიცა გერმანიის ხალხმა რეისტაგის უკანასკნელ სესიას. რეისტაგი ამაზე ალაპარაკდა. ალაპარაკდა ფართედ, გაბედულათ. საყურათღობა, რომ ამ საკითხში სოციალისტებს ნაციონალიზმებრხლებმა, პროგრესისტებმა და ცენტრმაც მხარი დაუჭირეს. მოთხოვნების საერთო ხალხი ერთი იყო. რეისტაგში საგარეო პოლიტიკის შეზღუდვის საკითხმა უმრავლესობა მიიმხრო. კამათმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ბოლოს, გაიდა უმრავლესობის წინადადება. რეისტაგის უმრავლესობა მოითხოვს, რომ საგარეო პოლიტიკის წარმოებაში, რეისტაგს ქონდეს ფართე ხმა. ამისთვის რეისტაგის საბიუჯეტო კომისია იკრიბება მუდამ, როცა მას საჭიროთ დაინახავს, თუნდაც რეისტაგის სხდომათა შეწყვეტის დროსაც. საგარეო პოლიტიკის კანტროლის გამწევი უნდა იყოს სახალხო წარმომადგენლობა. საგარეო ელჩების წარმომადგენლების მოხსენებანი პირველათ უნდა იქ-



ნას განხილული საბიუჯეტო კომისიაში. ყოველი საგარეო საკითხი უნდა წყდებოდეს სახალხო წარმომადგენლობის საშეღებობით. თითოეულ გარეშე სახელმწიფოთა საკითხის შესახებ, უნდა შედგეს ცალკე კომისია დეპუტატებისგან. მათ უნდა განიხილონ თელი საგარეო მასალები, წარუდგინონ საბიუჯეტო კომისიას და ისე უნდა გადაწყდეს საკითხი. ასეთი წესით შესაძლებელია დაწესდეს სახალხო კანტროლი საგარეო პოლიტიკაში. ასეთია დღეს რეინსტაგის უმრავლესობის ნაბიჯი—საგარეო პოლიტიკის საქმეში. იგივე უმრავლესობა მომხრეა პასუხისმგებელი სამინისტროს დაფუძნების და კანცლერის რეინსტაგის წინაშე დამორჩილების, თითქმის კაიზერის საქმეების გამოც-კი.

რეინსტაგს ფართე ნაბიჯი არ გადაუდგამს. მან კიდევ გვერდი აუხვია ს.-დემოკრატების მოთხოვნებებს. მარა აქ ერთი გარემოებაა საყურათღებო და ღირსშენიშენლოვანი. ეს ნაციონალ ლიბერალებისა, პროგრესისტებისა და ცენტრის გამოხვლაა. რასაკვირველია. დიდი უმეტესობა ამთგანი სულით, გულით წინააღმდეგი არი „საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაციის“. ისინი ვერას დროს ვერ ამოუდგებიან გვერდში დემოკრატისა. მუშათა კლასს. მარა დღეს, თუ ალაპარაკდენ, ს.-დემოკრატების მოთხოვნებებს მხარი თუ დაუჭირეს, თუ საგარეო პოლიტიკის კანტროლიორათ რეინსტაგი უნდ დანიშნონ— ეგ იმის მომასწავებელია, რა გერმანიის ხალხის წინაშე ეს საკითხი თელი თვისი სიგძე-სიგანით დაისვა. გერმანიის ხალხმა ფართედ დააყენა საკითხი. ის აშკარათ მოითხოვს საგარეო საქმეში ჩარევას. ჩემი სისხლის საქმე მე უნდა შეკითხებოდესო...

ამ ლოზუნგით დაიწყო პირველი მოქმედება გერმანიის დემოკრატიაში. საგარეო პოლიტიკის გარშემო ამოძრავება პირველი ნაბიჯია გერმანიის დემოკრატის მხრივ. „საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია“ ბევრ სხვა რამეს მოითხოვს. ეს სხვა მოთხოვნისადაც გულისხმობს. დემოკრატიზაცია ერთ საქმეში მოითხოვს სახელმწიფოს სრულ დემოკრატიზაციას. აი, ეს ნათლად აქვს გერმანიის ლიბერალებს შეგ-

ნებული და თავის რეზოლიუციებით დროს მოგება უნდათ, დიდი საფრთხის აცდენას ელტენიან. მარა ამ „დემოკრატიზაციით“ გერმანიის დემოკრატია არას წავაგებს. ნაციონალ-ლიბერალების რეზოლიუცია მას დროებით მხარს უმაგრებს. ამით ის ჯერ „ანს“ იტყვის და, შემდეგ, ბანით საქმეს ლაბოლოვებს თავის საკეთილდღეოთ.

მ. ლურიე.

## დამოუკიდებელი პოლონეთი.

ამ უშველებელ საერთა-შორისო ომს ერთი დიადი, თითქმის დაუჯერებელი ამბავიც მოყვა: გერმანიამ და ავსტრი-უნგარეთმა საქვეყნოთ პოლონეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

პოლიტიკურათ, სრული „დამოუკიდებელი“, რუსეთის ყოფილი პოლონეთი გერმანიის გავლენის ქვეშ იქნება, რასაკვირველია და მასთან სამხედრო და სადამოყნო კავშირით შეკრული. ნაწილი ძველი პოლონეთისა, პოზნანი, რომელიც პრუსიის პრავინციას შეადგენდა, ისევ ისე ძველებურათ დარჩება, როგორც დღემდის იყო. ხოლო გალიციას მინიჭებული ექნება სრული და ფართო პოლიტიკური ავტონომია.

ამ დიდი აქტის საქვეყნოთ აღიარებით, გერმანიამ და ავსტრი-უნგარეთმა თავიანთ ძლევა მოსილ არმიებს ერთ მილიონზე მეტი არმია კიდევ შეძინეს, არმია,

ამ აქტის გამო, რუსეთმა დიდი პროტესტი გააცხადა. პოლონელებმა რუსთა ხელმწიფეს შეფიცეს ერთგულება და, საბოლოოთ, პოლონეთის ბედს რუსეთის არმიის ხმალი გადაჭრისო...

პროტესტს და დიდ პროტესტსაც აცხადებენ რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოინცი-ინგლის-საფრანგეთ-იტალია.

მარა ამ პროტესტ-უარყოფობით, რა თქმა უნდა, გარემოება ოდნავაც არ შეცვლილა და არც შეიცვლება.

დღეს ყველა ხედავს, პოლონეთის მტერიც და მოყვარეც, რომ ამ უშველებელი ომის

წყალობით, მკვდრებით აღსდგა მრავალ-ტან-  
ჯული ერი, ერი ძლიერი სიმდიდრით, კუ-  
ლტურით და წარსულით, ერი დიდათ ნიჭიერი  
და სახელმწიფო ცხოვრებით გამობძმედილი  
და ღიადი...

რასაკვირველია, პოლონეთი თელი თვისი  
დაფლეთილი პოლიტიკური ნაწილებით არ  
გათავისუფლებულა. მარა ეს ერთბაშათ არც  
შეიძლება. ერთბაშათ ბედნიერება მზა-მზა-  
რეულათ ზეციდანც არ ჩამოვარდნილა და  
ჩვენ „კოდვილ“ დედა-მიწაზე თავისუფლების  
და გაბედნიერების პროცესი თანდათან, ნელ-  
ნელა შლის ფთებს და ნეტარებაც სწორეთ  
ამაშია...

ჩვენთვის, ქართველთათვის უფრო ღი-  
დათ საინტერესოა რუსთა პრესის აზრი.

სატანტო ქალაქების დიდმა გავლენიანმა  
გაზეთებმა, თელმა რუსეთის პრესამ, განურჩე-  
ვლათ მიმართულებისა, სასტიკათ დაგმო აკტი  
პოლონეთის დამოუკიდებლობისა, გასაკუთრე-  
ბით იმიტო, რომ ეს გამოწვეულია „ემოისტ-  
ური ინტერესებითა“...

რუსეთის ლიბერალიზმიც სწორეთ ისე,  
როგორც გიორგი ვალენტინოვ ჩალებანოვი  
და მათი ამჟამად-ჩამყოლნი ბრმა შოვინიზმით  
არიან გამსჭვალულნი და მათი გძნობა-გონება  
არეული და დაბნელებულია...

ემუქრებიან... მწარეთ ემუქრებიან კიდევ  
პოლონელებს...

აბა, სწორეთ ეს არი, ჩვენში რომ იტყ-  
ვიან: ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს  
დაუწყეს მტვრევაო.

აგერ, ჩვენთვის ვთქვათ ჩუმათ: პოლონე-  
ლები აქ რა შვაში არიან? ოელი პოლონეთი  
დღეს გერმანიის და ავსტრიის ხელში მოექცა.  
გერმანიამ და ავსტრი-უნგარეთმა ინება პო-  
ლონეთის გათავისუფლება. პოლონელებს,  
უნდათ თუ არ უნდათ, ძალაუნებურათ  
უნდა მიიღონ პოლონეთის დამოუკიდებლობის  
ღიადი აკტის სინამდვილე და სულგძელათ, სე-  
რიოზულათ წარუძღვენ თავიანთ საქმეს...

თუ რუსეთს ძალიან სურს, პოლონეთი  
ხელიდან არ გაუშვას, ეს უნდა კითხოს თავის  
საკუთარ სარდლებს და ხმაღს...

რუსეთის არმიამ უნდა დაამარცხოს  
გერმანიის არმია, რომელმაც ბოლო  
მოუღო ბელგიას, სერბიას, ჩერნოვოროის და

რუმინიას და პოლონეთის ბედიც დღეს მან გა-  
დაწყვიტა...

ამიტომაც, რუსეთის მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ტრეპოვი საქვეყნოთ აცხადებს:  
ომი ბოლომდისო.

მით უმეტეს, რომ მოკავშირეებს, თურმე,  
რუსეთისთვის დაუთმიათ უღიადესი საქვეყნო  
ალაყაფის კარები — კონსტანტინეპოლი და  
ბოსფორ-დარდანელის ლურჯათ მოკამკამე  
ზვირთებიც.

კარგი ფეშქაშებია, ღმერთმანი!

მოდო და ასეთი ღიღი-ღიღი და გემრიელი  
ლუკემებისთვის ნუ იომებ... „ბოლომდის“...

გულკეთილი.

## სახელმწიფო ღუმა.

პირველ ნოემბერს სახელმწიფო ღუმა  
შეიკრიბა. დაესწრო მინისტრთა საბჭოს თავ-  
მჯდომარე — შტიურმერიც. სახ. ღუმას სიტყვით  
მიმართა თვით თავმჯდომარემ — როძიანკომ,  
რომელმაც საქვეყნოთ გააცხადა, რომ ეს ომი  
რუსეთს მძიმე თვირთად დააწვა და ცხოვრების  
პირობები მან სულერთიანათ არივ-დარიაო...  
ჩვენ მტერს ძალა ჯერ არ გამოლევია და  
ჩვენც უნდა ძალა მოვიკრიფოთ და ომი ბო-  
ლომდის უნდა მივიყვანოთ, სანამ მტერს  
სრულიათ არ დავამარცხებთო. გამარჯვების  
პირველი თავმდებია — მშვიდობიანობა შინ.  
ხალხის სულიერი ძალა არ უნდა შეიბოჭოს  
უბრალო შეიწროებით. ხალხის დამოუკიდე-  
ბლათ, ცალკე გზით მთავრობას სიარული  
არ შეუძლია. განზე, ცალკე დამოუკიდებელი  
სიარული გამარჯვებას დიდათ გვაშორებს...  
შტიურმერი ისმენს ამ სიტყვებს, ტოვებს  
მაშინვე ხალას და მიდის... ავთამყოფობის  
მიზეზით...

შემდეგ, ტრიბუნაზე აღის პოლონელი  
ღებუტატი — გარუსევიჩი და, დეკლარაციისსა-  
ხით, სახ. ღუმას აუწყებს, რომ ავსტრია-  
გერმანიის აკტი პოლონეთის პოლიტიკურათ  
გათავისუფლებისა უნდა საქვეყნოთ დაიგმოს...  
იგი მოითხოვს რუსეთის მთავრობისგან, რომ  
პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა საბ-

ოლაოთ გადაწყვიტონ რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა.

გარუსევიჩი გამსჭვალულია იმ იმედით, რომ ამ ისტორიულ მომენტში რუსეთი არ დატოვებს პოლონეთს და უკანასკნელს სრული უფლება აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენის იმედი იქონიოს. პოლონეთის სახელმწიფო წარმოუდგენელია, თუ იმაში არ შევა კრაკოვი, პოზნანი, სილეზია, და არ იქნება პოლონეთის ზღვა... პოლონელი დარწმუნებული არიან, რომ გერმანიის სამხედრო ძლიერება დაცემულ იქნება და რუსეთის და მოკავშირეთა გამარჯვებით პოლონეთსაც მიეცემა საშვალეობა თავისუფალ ცხოვრებისა.

რუსეთის მთავრობამ, მართლაც, საქვეყნოთ პროტესტი გააცხადა ავსტრია-გერმანიის აკტის წინააღმდეგ. პოლონელებმა რუსეთის ხელმწიფეს ერთგულება შეფიცეს და ისინი ვალდებული არიან ეს ფიცის მტკიცეთ დაიცვანო. ამის შემდეგ, პოლონეთს ავტონომია მიენიჭებოდა...

დებუტატებს იმედი ქონდათ, რუსეთის პირველი მინისტერი დეკლარაციით წარდგებოდა სახ. დუმის წინაშე. მარა ეს ასე არ მოხდა. ფრაქციებმა თვისი სურვილები გააცხადეს... პოგრესიულ ბლოკის გაცხადებაც კვლავ იმეორებს სახ. დუმის ტრიბუნიდან: „ომი ბოლომდისო...“

ალარავისთვის დაფარული არ იყო, რომ შტიურმერს გერმანიასთან ზავი უნდოდა და... იგი გაშორდა პოლიტიკურს ასპარეზს. მის ადგილზე ხელმწიფემ მოიწვია ახლანდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ტრეპოვი. 19 ამ თვეს დიდი არეულობაც მოხდა სახ. დუმაში.

თავმჯდომარემ ნება დართო ტრეპოვის წინათ ნათქვამ სიტყვებისა და ამბების გამოქვეყნების. როგორც-კი თავმჯდომარე აცხადებს ტრეპოვი ილაპარაკებო და ტრეპოვი ტრიბუნას უახლოვდება, მარცხნიდან ისმის ხმა: ძირს, ძირს! არი საშინელი ხმაურობა, ხმაურობა არ წყდება. თავმჯდომარე თხოულობს, დაწყნარდითო. სათათბიროს წევრნი ჩხეიძე, კრენსკი და სკობელევი! მე იძულებული ვიქნები თქვენი გაძევების საკითხი დავსვა. ადგილებიდან ისმის ხმა: გთხოვთ, გთხოვთ.

თავმჯდომარე იმეორებს. **სკობელევი, კრენსკი და ჩხეიძე** სხდომიდან გააძევეს, პირადი ახნისთვის **ჩხეიძე** გამოდის. თავმჯდომარე მას წესიერებისკენ მოუწოდებს, სიტყვასაც აწყვეტილებს. ტაშის ცემა. სიტყვა კრენსკის ეძლევა. ყვირიან კრენსკი, კრენსკი. კრენსკი ტრიბუნაზე ჩდება. ისმის ხმები: ძირს, გაეთრიე. ხმაურობა გძელდება. **კრენსკი** რაღაცას ამბობს. **სკობელევის** თავმჯდომარე წესიერების დაცვას თხოვს. ტრიბუნაზე **ხაუსტოვი** აღის. თავმჯდომარე მასაც აწყვეტილებს სიტყვას. დუმა ლეგულობს თავმჯდომარის წინადადებას ამ ოთხ დებუტატთა სხდომიდან გაძევების შესახებ. აძებენ მინისტრთა თავმჯდომარის ტრეპოვის სიტყვის საწინააღმდეგო დემოსტრაციისთვის. **ტრეპოვი** იწყებს სიტყვას. ისევაცყდება ხმაურობა. არახუნებენ პიუპიტრებს. თავმჯდომარე წესიერების დაცვას მოუწოდებს **ჩხენკელს, ძიუბინა** და კეილს. იძლევა წინადადებას მათი სხდომიდან გაძევებისას. წინადადებას დუმა ლეგულობს. გაძევებულები პირადი ახნისთვის სიტყვას ამბობენ. კვლავ იწყებს ტრეპოვი სიტყვას. ტრეპოვი გამოჩდება თუ არა ტრიბუნაზე, ადგილიდან **სუხანოვი** მიმართავს დუმას. თავმჯდომარე მასაც თხოვს დაწყნარებას. ტრეპოვი თავის სიტყვას იწყებს. სუხანოვი კვლავ ლაპარაკობს ადგილიდან. სუხანოვს სხდომიდან აძევენ. სუხანოვი პირათ ახსნას იწყებს, ხმარობს მწვავე და სასტიკ გამოთქმებს. თავმჯდომარე მას რამდენჯერმე აჩერებს. აძევენ 10 სხდომიდან. სუხანოვი არ გადის. ის თავის ადგილზეა. თავმჯდომარის წინადადებას გარეთ გასვლის შესახებ ყურათღებას არ აქცევს. თავმჯდომარე აცხადებს: ყოველგვარ ღონისძიებას მივიღებ და დუმის გადაწყვეტილებას სისრულეში მოვიყვანო. ხმები: სწორია, ასე უნდა, დაუძახეთ პოლიციას. სხდომა წყდება. სხდომის შეწყვეტის დროს, სუხანოვი თავის ნებით გარეთ გადის. ამ სხდომის შეწყვეტის შემდეგ, სიტყვას ამბობს ტრეპოვი, რომელიც აცხადებს, რომ „ომი ბოლომდისო“.

**კანცლერის სიტყვა.**

რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, 27 დეკემბრისთვის, იმპერიის კანცლერმა, ბეტმან ჰოლვეგმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: უცხოეთის ბეჭდითი სიტყვის კავშირის

ბანკეტზე გრემ გააცხადა: „მართალი რომ იყოს, ვითომც გერმანეთს სხვებმა მოახვიეს თავზე ომი, მაშინ სრულიად ლოგიკური იქნებოდა გერმანეთს მოეთხოვა გარანტია მერმისში ასეთი თავდასხმის ასაცილებლათ“. ამის პასუხათ უნდა გავიმეორო, რაც წინათაც მითქვამს: აკტი, რომელმაც ომი აუცილებელი გახადა, გახლდათ რუსეთის მიერ გაცემული ბძანება საყოველთაო მობილიზაციისა, რომელიც 1914 წ. 18 მკათათვეს ღამე გამოიცა. რუსეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და თელმა ქვეყნიერებამ იცოდა, რომ ასეთი ნაბიჯის შემდეგ, გერმანეთს დაყოვნება აღარ შეეძლო და ასეთი მობილიზაცია მისთვის ომის გამოცხადებას უღრიოდა. თელმა ქვეყნიერებამ და ინგლისმაც კარგათ იციან, რომ განკარგულება რუსეთის მობილიზაციისა აღრე მოხდა, ვიდრე გერმანეთისა და ავსტრიისა.

ომის შემდეგ, თელი კაცობრიობა ვადპრით მოითხოვს სამშვიდობო ხელშეკრულობას და შეთანხმებას, რომ თავიდან აიცილოს ისეთი საშინელი უბედურება, როგორც არი დღენდელი ომი. ეს მოთხოვნა ისეთი ძლიერი და სამართლიანი იქნება, რომ, უეჭველია, ნაყოფს გამოიღებს. გერმანეთი თელი ძალიანით ხელს შეუწყობს ამ საკითხის პრაქტიკულ გახორციელებას, მით უმეტეს, რომ ომმა წამოაყენა პოლიტიკური ვარემოებანი, რომლის გასახორციელებლათ საჭიროა ყველა ეროვნებათა თავისუფალი ვავითარება, როგორც დიდი ერის, ისე პატარა ეროვნებათა. თავისუფლებისა და უფლებათა პრინციპები უნდა გახორციელდეს არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაზეც.

გრემ გააცხადა: როდესაც გერმანეთი დამარცხდება, ინგლისი თვისი სურვილისამებ განაგებს თელ ქვეყანას. ინგლისმა და საფრანგეთმა 1915 წელს რუსეთს უზრუნველუყვეს ბატონობა სტამბოლსა, ბოსფორისა და დარდანელის დასავლეთ სანაპიროებზე, ხოლო მკორე აზია მოკავშირე სახელმწიფოებმა ვინაწილეს.

ომის წინათ, არსებული საერთაშორისო

დამოკიდებულობათა ისტორია თელი ქვეყნისთვის ნათელია, რა იზიდავდა საფრანგეთს რუსეთისკენ? ელზას-ლორენი. რა უნდოდა რუსეთს? სტამბოლი. რათ მიემხრო ინგლისი მათ? იმისთვის, რომ გერმანეთი თვისი მშვიდობიანი მუშაობით მეტის მეტათ ვადლიერდა. რა სურდა გერმანეთს? გრემის აზრით, გერმანეთს უნდოდა, საფრანგეთ-ბელგეთის ხელშეუხებლათ დატოვებით ინგლისისგან ეყიდნა უფლება, რომ საფრანგეთისთვის რომელიმე ახალშენი ჩამოეჭრა. ყოვლათ უჯუნურ გერმანელსაც-კი ფიქრათ არ ვაუტარებია საფრანგეთზე ვალაშქრება და რაიმე ახალშენის წართმევა. ევროპისთვის საბედისწერო ის ვარემოება იყო, რომ ინგლისის მთავრობა რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობას აქეზებდა და ისეთ დაპყრობითს მადას უღვიძებდა, რომელიც ევროპის ომის ვარემე მიუხწყველი იყო. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ, იმ თავითვე ამხედრდა გერმანეთი და მოგვრიებითს ომსაც თვისი ეროვნული არსებობის და თავისუფალი ვავითარების უზრუნველსაყოფათ აწარმოებს.

რაც უნდა დიდათ ვადლიეროს ინგლისმა თვისი ძალები, იგი იქამდი მაინც ვერ მიადწევს, რომ გერმანეთის ვარდუვალი ნებისყოფა შეარყიოს, რათგანც მის ძლიერებასაც თვისი საზღვარი აქვს გერმანეთი იმედინათ ელის, რომ მისი მტრები ოდესმე მაინც მივლენ ასეთ დასკვნამდი.

### რორბახის წერილი.

გერმანელთა ცნობილ და ვავლენიან პუბლიცისტს-რორბახს დაუწერია წერილი პოლონეთის საეკონომიო მომავალის შესახებ. წერილი დაბეჭდილია პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეებში და ახლა, ამის გამო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოწვეული.

როგორც პირველს საჩუქარს, ამბობს რორბახი, გერმანეთი მიცემს პოლონეთს მლიუხების სისტემას ვისლაზე და შევართებს მას ცენტრალურ ევროპის სანავონსა მდინარეებთან და უპირველესათ დუნაისთან. ამის გამო, პოლონეთის მრეწველობა, რომელიც რუსეთის

ბაზარს კარგავს, მის მავიერათ ეხსნება ახალი გზები, ახალ ორიენტაციას: ერთი მხრით, გალიციას, უნგრეთს და ბალკანეთის სახელმწიფოებს, მეორე მხრით, თელი ქვეყნის თავისუფალ ზღვის გზებს.

ვარშავას შეუძლია, ბერლინის მსგავსათ, ბალტიის ზღვის პორტათ გახდეს. გერმანეთის ნავთსადგურიანი ქალაქი დანციგი ისეთსავე როლს ითამაშებს პოლონეთისთვის, როგორც ამბურგი ცენტრალურ გერმანეთსა, ბოგემიისა და სხვ. დანციგი შვაშავალი იქნება პოლონეთისთვის საქონლის გაზიდვა-შემოზიდვის საქმეში. დანციგის ნავთსადგური გარდაიქნება პოლონეთის სოფლის მეურნობის და მრეწველობის ნივთიერებათა საწყობათ. იგივე იქნება პოლონეთში ნედლი მასალის შემოტანის ადგილი. უქვეყლია, დანციგის აღორძინების იმედი ფუჭი როდია. იგი ხელს შეუწყობს ატლანტიის იქითა მხარის ვაჭრობასაც, აღმოსავლეთ და აფრიკასთან ურთიერთობასაც.

პოლონელები ამბობენ, რომ გერმანული დანციგი უნდა გადიქცეს პოლონურ განსაკათ და რორბახის მიერ დახატული გეგმა გახორციელდება მხოლოდ პოლონელთა საშვალეებით, პოლონელთა მრეწველობა-ვაჭრობითა და პოლონელების ფლოტით.

**ლიტვის დიდი სამთავრო და კურლიანდიის საგერცოგო.**

გერმანელების მიერ დაპყრობილ კურლიანდიაში გამოცემულ ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში შემდეგი წერია: მას შემდეგ, რაც გამოცხადდა პოლონეთის დამოუკიდებლობა, ბერლინში გაცხარებული მსჯელობაა, შექნან ორი ახალი სახელმწიფო — აღადგინონ ლიტვის სამთავრო და კურლიანდიის საგერცოგო. ლიტვის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ დალაღებს ის გარემოება, რომ პოლონეთის აღდგენის შემდეგ, უკვე ტოპოგრაფული პირობები ნებას არ მიცემენ გერმანეთს ლიტვა შეიერთოს. ლიტვის ტახტზე აპირობენ დასვან

ერთ-ერთი გერმანელი პრინცი. ვინ — ჯერ გამოარკვეული არაა. რაც შეეხება კურლიანდიის აღდგენას, ამას მოითხოვს საპოლიტიკო მოსაზრებები, თუმცა შეიძლებოდა კურლიანდია პრუსიას შეერთებინა. ორივე ახალი სახელმწიფო ვალდებული იქნება ცენტრალურ სახელმწიფოთა კავშირში შევიდესო.

**ბ-ნ ლ. ბახტაძის „ჩემი პასუხის“ პასუხი.**

(„სხორება“, №9, 1916 წ.)

თქვენი „ჩემი პასუხის“ პასუხი, ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ცოტა დამიგვიანდა. მარა ეს, სხვათა შორის. გავარჩიოთ თქვენი წერილი მუხლებათ. ავლაპარაკოთ ნამდვილი ფაქტები და შევიტყობთ სიმართლეს.

თქვენა წერთ, რომ ილია ხონელი ვითომც გაბრიელს უნდა დაეწყევლოს. გაბრიელს არათუ ილია ხონელი, არამედ არავინც, არასდროს არ დაუწყევლია კათედრიდან. ეს მის ქადაგებიდან ჩანს, საიდანც ადგილს ქვეით მოვიტანთ.

1881 წელს დედა ჩემი ჩამოძანდა სოფლიდან ქუთაისში და ერთ კვირა დღეს მოისურვა არქიერის წირვის მოსმენა. დედამ ინება, მე გავყოლოდი ეკლესიაში.

„წირვის შემდეგ, ჩვეულებრივ, გამოძანდა ებ. გაბრიელი და ქადაგებით მიმართა მლოცველებს: „ჩემზე ჯღაბნიან, ვითომც მე ქურდი უნდა ვიყო, ვითომც მე უნდა გამეცარსვეს გელათი და სხვა. განსვენებულმა ჩვეულებრივი სიფიცხით, შეაჩვენა მისი დამწერი. გაბრიელი ისეთი საცოდავი იყო იმ წამში, რომ სიბრალული გამოიწვია მორწმუნე ადამიანის გულში. იმ დროს მე იმ წლოვანობაში ვიყავი, როდესაც ვაზეთებს არ კითხულობენ. მარა ძალიან კარგათ მიეხვდი, რათგან სახლში ხშირათ ვიყავი მოწამე გელათის გაცარსვის შესახებ ლაპარაკისა.“

თქვენ მიერ დასახელებული ქადაგება 1881 წ. კი არ არი ნათქვამი, არამედ 1882 წ. 9 მაისს (ამ დროს, მე ღვდელი ვიყავი და საპატიო ადგილიც მეკავა და არა მედავითნე, როგორც თქვენა ბძანებთ). მარა როგორც გეტყობათ, არც თქვენ, არც დედა თქვენი არ დასწრებისათ ქადაგების წარმოთქმაზე და, თუ დაესწარიო, როგორც ბავშვს, ვერაფერი გავგიათ, თორე, სად არი ქადაგებაში ნახსენები, ან თქვენი ძმა ილია და ან გელათი?! ვადაიკითხეთ კარგათ ქადაგება და დარწმუნდებით, რომ არა ილია ხონელზე ლაპარაკობს მქადაგებელი, არამედ

იმ სენზე, „მედანოსებზე“, რომელსაც ვაბრიელის დროს, ფესვი ქონდა გადგმული თელს იმერეთში (მგონია, ჩვენ დროშიაც არა ნაკლებია ზემოხსენებული სენი). და, მქადაგებელი ჩვეულებრივი ქერმეტყველობით ხატავს ამ ბიწიერებას და ყველას ლოცავს, ევედრება, ასწავლის და არა წყევლის, რომ ნუ იქნება ეს ჩვენ შორისო. თქვენ მოგაქვთ ჩემი სიტყვები:

„არა თუ რუსულსა და ქართულს გაზეთებში იბეჭდებოდა მისი პასუხი, გელათის ნივთების შესახებ, არა მდ ინგლისისა და ფრანგულ გაზეთებშიც—კი ვადაიტანესო“. ვინ ვადაიტანა და რა ვადაიტანეს?! საკითხავია ხომ? თქვენ, მამაო დეკანოზო, უკაცრავთ განზღვათ ამ სიტყვებისთვის, რაღაცასთვის მოგვიკრავს ყური და ვერ ვაგვიიათ. აი, ამ ამბის ვარემოება, როგორ იყო, როდესაც სატახტო გაზეთებში (რომელ წელიწადი ში, რა დროს?) გამოქვლიანდა გელათის ნივთების გაცარცვის ამბავი, ინგლისური გაზეთის პეტერბურგელმა კორესპონდენტმა წერილი დაბეჭდა (ალბათ, თქვენი ძმის შეგონებით) თავის გაზეთში, რომელშიც იგი ურჩევდა ინგლისის მთავრობას: ბრიტანიის მუზეუმში რომელმაც შეიძინა გელათის ფასდაუდებელი სახარების ყდა და სხვა ნივთები მაღალ ხარისხოვანი ქურდების მოტანილი საქართველოდან, უკანვე დაებრუნებია“.

ვითომ მარტოთ მარტო ერთი წერილი დაიბეჭდა ბ-ნო ლ. ბახტაძე, გელათის ნივთების შესახებ?! აბა, ჩაყვეით ქვევით და ნუ დაიზარებთ წაკითხვას და მოთმინება იქონიეთ.

აი, საქმე როგორ იყო... გელათის ნივთების მოტყუებით გატაცება 1870-1880 წლებს შვა მოხდა, ვაბრიელის ღვდელმთავრობაში. გუბერნატორათ ჩვენში იყო გრაფ ლევაშოვი. მას ყავდა სასახლეში ერთი სამხედრო პირი, გვარათ, მგონია, პუტიატინი. უკანასკნელი გაეცნო, როგორც გელათის, ისე სხვა ჩვენი მონასტრების ძვირფას ნივთებს. მისი შეგონებით, ლევაშოვმა თხოვა ვაბრიელს, რომ გელათის სახარება და ზოგიერთი ნივთები ეთხოვებია, ვითომდა სპეციალისტების საჩვენებლათ. ხელწერილიც მიცა, რომ შემდეგ უკან დააბრუნებს. ვაბრიელიც ენდო. მარა მზაკრულათ მოატყუეს. სახარების ყდა გამოეცვალათ და ზოგიერთი ნივთებიც აღარ დააბრუნეს. ამის გამო, ვაბრიელსა და ლევაშოვს შორის დიდი ალიაქათი ატყდა. ამას მოყვა ლევაშოვის გადაყენება ქუთაისიდან. ეს ყველაფერი შეიტყო აკაკიმ და „დროებაში“ წერილი მოათავსა, სახელდობ, „სიზმარი“, რომელსაც მოყვა კანტორის სასტიკი გამოძიება (იმ დროს ეგზარხოსათ ევსესი იყო, მტერი ვაბრიელისა) „რომლითაც დამტკი-

ცდა, რომ ვაბრიელი მზაკრულათ მოატყუეს ლევაშოვმა და პუტიატინმა. ყველა ამბავ ატყდა განგაში. ქართულ, ისე რუსულ გაზეთებში, მერე, ინგლისურს და ფრანგულშიაც გადიტანეს ეს ამბავი... ზოგიერთ გაზეთებში, თვით ვაბრიელი აძლევდა პასუხს და ზოგში მისი მეგობრები (განსვენებულ სტრუიკის რომელიმაც ვაბრიელის შეგონებით 100000 მან. საღირალი უძრავ-მოდრავი მამული დაუტოვა იმერეთის საზღვლოვებას.) მოდიოდა ფრანგული ჟურნალ-გაზეთები, რომელსაც ვაბრიელს უთარგნიდა წასაკითხავათ ამ გაზეთებს. პრესაში იყო მოთავსებული ვაბრიელის წერილები. ვაბრიელმა ფრანგულ-ინგლისური ენა იცოდა. მარა ინგლისურ ჟურნალ გაზეთებში პასუხს იძლეოდა ანგლიკანთა ღვდელი (სახელი და გვრი არ მახსოვს), რომელიც ორჯელ იყო ქუთაისში ვაბრიელთან და რომელიმაც ინგლისურ ენაზე გადათარგმნა მისი, ე. ი., ვაბრიელის ქადაგებანი. ამ დროს, თქვენ, მე ვფიქრობ, სულ მცირე წლოვანი იქნებოდით.

რათ დევნიდა ილია ხონელი ვაბრიელს? ილია ხონელის მამა (მამა თქვენი), მ. ლუკა ბახტაძე 1860—1865 წლებში კეთილ-მოწესეთ იყო, ხონის ოლქში. მარა, სხვა და სხვა, არა კეთილ მოწესობისთვის ვაბრიელმა დაითხოვა იგი თანამდებობიდან. მ. ლუკა იმ დროს დიდათ თვალსაჩინო და ნიჭიერი ღვდელიც იყო. მარა ნიქს ბოროტათ ხმარობდა, როგორც ქვევით დავინახავთ. ვაბრიელს ის ამისთვის რისხვისა ქვეშე ყავდა (Въ опалѣ деп-жалѣ). ხოლო მ. ლუკა დიდიან გადაყენების, შეიქნა ვაბრიელის დაუძინებელი მტერი.

მისმა შვილმა, ნიჭიერმა პუბლიცისტმა ილიამ ატყდა დიდი განგაში ვაბრიელზე... 1884—1892 წ. წ. მ. ლუკას აუტყდენ ხონელები და საჩივარი საჩივარზე მიდიოდა ვაბრიელ ეპისკოპოსს. ვაბრიელი გამოძიებას ნიშნავდა. რომ დაეხსნა მამა სასჯელისგან, ილია დაუახლოვდა ექსარხოსს პალადის, ერთი ვინმე დიდი ბოზოლა ბიუროკრატის საშვალეობით და ექსარხოსი გადაკიდა ვაბრიელს. ეს ორი ღვდელთ მთავარი, ილია ხონელის წყალობით, შეურიგებელი მტერნი შეიქნენ ერთმანეთისა. მამა ლუკას ერთი საქმე ისე წავიდა, რომ

1880

ღირსებაც ახადეს. მარა შეიბრალებს ისევ გაბრიელის წყალობით. ხონელები მაინც არ მოეშვენ მამა ლუკას. უჩივლეს მას სხვა და სხვა უწყსომოქმედება და ადგილიდანაც გადააყენეს ლუკა, რომელიც ვერც ილიამ, ვერც პალაღიმ, ვერც ბობოლა ბიუროკრატმა ვერ იხსნა (იხილევ. ლ. ბახტაძის საქმე 1880-1893 წ. წ.)

აი, სწორეთ ეს იყო ილია ხონელის ამხედრების მიზეზი გაბრიელზე. ილია, მართლაც, ჩვეულებრივი გესლიანი კილოთი და ენტუზიაზმით წერდა გაზეთებში გაბრიელზე. მარა ღირსეულ პასუხსაც აძლევდენ მას...

არავის გაბრიელი არ ემღუროდა, არ წყევლიდა, არც შეაჩვენებდა, არამედ ლოცავდა.\*) დეკანოზი ი. წერეთელი.

### წუთიერი ნეტარება.

(გუძღვნი ე—ს)

სიყვით ჩაგრულ-დაობლებულ, ცხოვრებისგან ვარიყულმა, ძლივს ვიხილე ბუჩქზე ვარდი, შევება-ლხენა იგძნო გულმა... და ის იყო, რო წარსული სევდა მივეც დავიწყებას, და წალკოტში, გულის სატრფოს ვუმღეროდი ხოტბა-ქებას, — სული ისევ შემეხუთა, კვლავ აკვნესდა გული მკვდარი, რა შევხედე ვარდის კოკორს, ბუჩქის ძირათ ეგდო მკჷნარი. მას შემდეგ, მეც მწარე სევდა არ მშორდება ბედით ჩაგრულს... და მარადის ვდევნი ბოროტს, თანაც სატრფოს ვგლოვ დეკარგულს.

ოხ, ავსულო, ბოროტებავ!  
 რათ მომშხამე — მომსპე სრულათ?  
 რათ შევხე ყვავილს ბუჩქზე?  
 რათ მოწყვიტე იგი მტრულათ?..  
 ახ. მ—ლი.

\*) ავტორს აქვე მოაქვს ეპ. გაბრიელის ქადაგებას. მარა, უადგილობისა გამო, ვერა ვსტამბავთ. რედ.

### მუშათა ჟურნალის ფონდი.

ამ რამდენიმე თვის წინათ, მუშების ერთმა ნაწილმა, — „**რვა მუშის**“ თანამოაზრებმა, გადაწყვიტეს ყოველ-კვირულ მუშათა ჟურნალის გამოცემა, რისთვისაც არჩეულ იქნა, ა. წ., „დამფუძნებელი კომისია“. უკანასკნელს მიღებული აქვს, შემოწირულება სხვა და სხვა კუთხიდან, სხენებული ჟურნალის ფონდის სასარგებლოთ, რისთვისაც კომისია, თანაგძობისთვის მადლობას უსხადებს შემომწირველთ...

ამ ქამათ, შემოწირულება მიღებულია, სხვათაშორის, შემდეგ პირთაგან:

#### პიათურა.

- 1) ციხელმა 50 მან., 2) ვ. მ—მა 10 მან., 3) ბუინველმა 25 მან., 4) ს. ს—ქემ 10 მან., 5) ალათიას—შვილმა 10 მან., 6) ნაცნობმა, ვ. ჩულიანმა, შადურმა, ფოთელმა, გენოსშვილმა, ეფრასიმესშვილმა, ასკანელმა, —ხუთხუთი მან., დ. კ—მა, გ. —გ—ქემ პისტიმ, სკინჩასპირელმა—სამსამი მან., თ. —დ—ქემ ჭალელმა, მანდიკომ, 3. ლ—ქემ—ოროლი მან., ცისარტყელასგან, ვ. ჯ—ტისგან, ვ. ენ—ძისგან—თითო მან., ხულ—168 მან.

#### ერთი დაწესებულებიდან—62 მან. 9 კ.

აზრუმის სამხედრო რკინის-გზის ლიანდაგზე მყოფ ქართველებისგან: ი. ვ—მა—40 მან; ს—ა აბ—ქემ, ვ. ჩ—ქემ, ა— მ—მა, ზ—ლა—მ, ა. — გ—ქემ —ოც—ოცდახუთი მან., ვ. ომ—ქემ—15 მან., ი. ედ—მა, ბ. — კ—ქემ, ლ. ბ — ქემ—თითო თუმანი; გ. ვ—მა 25 მან., დ. მ—ქემ, დ—ო აბ—ქემ, ლ. ამ—მა, ს.— მ—ვმა (C. M.—ოვხ) რ. გ—ქემ— ი. ქ—ლომ (И. К.—იო) —ხუთ—ხუთი მან., ლ.— კ—ქემ, ვ.—ლ ქ—ლმა, პ—ო წ—ლმა —სამსამი მან., ლ.— ხ—ქემ და ს. კ—ქემ—თითო მან., სულ 281 მან.

შემოწირულებათა თელი ჯამი—506 მან. 9 კ. დამფუძ. კომისიის წევრები: ინზანი, ანზინ.

### ახალი წიგნი.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი—**Качество, Отношение — Причинность**, შედგენილი ბ.ნ ნ. სპ—ქე ჯორჯიკიას მიერ. ფასი წიგნისა 25 კაპ.

### რედაქტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა**

# სალიტერატურო კონკურსი

სიტყვა კაზმულ ნაწარმოებზე.

ვაცხადებ სალიტერატურო კონკურსს საუკეთესო სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებზე. ფულის პრემია 50 მანათი.

- 1) კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველამ.
- 2) ნაწარმოები უნდა იყოს ორიგინალური და დაუბეჭდავი.
- 3) ნაწარმოები თავის ზომით არ უნდა ქარბობდეს ერთ საბეჭდ ფურცელს (16 გვ.) და არ უნდა იყოს ნაკლები ფურცელის მეოთხედისა (4 გვ.)
- 4) უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არი 30 ნოემბერი, 1916 წ.
- 5) დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში, საზოგადოების თანდასწრებით.
- 6) დაჯილდოების დღე 18 დეკემბერია.
- 7) დაჯილდოებული მოთხრობა ჟურნალ „ცხოვრებაში“ დაისტამბება, ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიული ცნობებით.
- 8) ჟიურის წევრები უნდა იყოს: მეგობრის, „სამშობლოს“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციების წარმომადგენელი (თითო პიროვნება) და ერთს მე ვნიშნავ.
- 9) ჟიურის წევრები უნდა იყოს ილიობას კონკურსში ვერ მიიღებენ.
- 10) არჩეულ პირებს უნდა შეეძლოს მოიწვიონ კიდევ ორი წევრი, თუმცა საჭიროთ დაინახავენ.
- 11) საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „მეგობრის“ რედაქციის მისამართით, ჩემ სახელობაზე, რომელსაც შეგიძლია უნდა ვეცხადებ რამე დევიზი. ნაწარმოები ხელ მოუწერელი უნდა იყოს. მეორე კონკურსში იქნება აღნიშნული ავტორის ვინაობა, მხოლოდ კონკურსზე საკონკურსო ნაწარმოების დევიზი უნდა იქნას წარწერილი.
- 12) ვინც საკონკურსო პირობებს დაარღვევს, მისი ნაწარმოები გაურჩეველი დარჩება.

შასო ჭითავა

ქ. ქუთაისი.

P. S. ვთხოვ, სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს განცხადება.

მ. ქ.

## მიიღებ ხელის მოწერა 1916 წელსა

სალიტერატურო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ჟურნალ

# „ცხოვრებაში“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოს სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ პერიოდს 1 მ. და პირველ იენის 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრებას ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისილორე კვიციანიძისთან. თფილისში, კავკასიის საფერწლო სკოლის მოწაფესთან, ცერენტი გ. ძე სვანიძისთან. გორში — ალექსანდრე კრამანაშვილთან, ქიათურაში — პლატონ კილასონისთან, სამტრედიისში მინა კობალიძისთან, ბათუმში — „განთიადის“ კანტორაში, საჩხერეში — სიმონ ვაჩიჩილაძისთან, ბაქოში — სანდრო ქურდიქისთან, ქალაქის თვითმართველობაში და პეტროგრადში — ალექსანდრე არაბიძისთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутансь. Роману Спиридонович Шашава.